პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
7 სექტემბერი
1941 წ.
№ 212 (6217)
ფასი 15 კაპ.

7175

სახალხო შურისმგებელნი

ხალხური პარტიზანული მოძრაობა ჰიტლერულ გერმანიასთან ომის პირველსავე დღეებში წარმოიშვა. ეს იყო ხალხის პირდაპირი პასუხი საბჭოთა მიწა-წყალზე ფაშისტი მტრის მუხანათური, ვერაგული თავდასხმისა. ეს არის პასუხი ფაშისტი გერმანელი არამზადების გაუგონარ, არაადამიანურ დანაშაულობათა. პარტიზანული მოძრაობა მძლავრად მას შემდეგ გაჩაღდა, რაც ამხანაგმა სტალინმა მოგვიწოდა—შეჰქმენით ზურგში მტრისათვის აუტანელი პირობებიო. პარტიზანული რაზმები მრავლდებიან, ისინი აურაცხელნი არიან, ისინი არიან ყველგან, სადაც მტერი გაიკლის, ისინი ჩნდებიან მის კვალდაკვალ და ულმობელად სდევნიან მას. ისინი შურს იძიებენ მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობისათვის, ქალების გაუპატიურებისათვის, ბავშვების დახვრეტისათვის.

პარტიზანული მოძრაობა — ეს ხალხის ამობოქრებული ზღვაა. ეს არის თვითონ ხალხი, რომელიც იარაღით აღსდგა მტაცებელი ფაშისტების, ველური მოძალადეების, მძარცველებისა და მკვლელების წინააღმდეგ. ბელორუსიის, უკრაინის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკის, ლენინგრადის ოლქის, მოლდავეთის რესპუბლიკის ხელთ-ჩაგდებულ რაიონებში და სხვა რაიონებში — ყოველგან მრისხანე სახალხო შურისმგებელნი გარსერტყმიან ფაშისტთა ურდოების ნაწილებს, იჭრებიან გერმანიის არმიის შუაგულში, აღწევენ შტაბის განლაგების ადგილებს. ისინი უხილავნი და ყველგან მყოფნი არიან. მტრები მათ შესახებ შიშითა და ძრწოლით ლაპარაკობენ.

პარტიზანული მოძრაობა ორ თვეზე მეტი ხნის ომის განმავლობაში არა მარტო რიცხვობრივად გაიზარდა და ათეულ და ასეულ ათასობით მამაცი მებრძოლები შეიწოვა, მან საკმაოდ დიდი საბრძოლო გამოცდილებაც დააგროვა. იგი განმტკიცდა, თავისი მეთაურთა კადრები შეჰქმნა. პარტიზანთა წრიდან დაწინაურდნენ ნიჭიერი ხელმძღვანელები, თვითნაბადი მხედართმთავრები, რომლებმაც ფართო პოპულარობა მოიპოვეს მოსახლეობაში და რომელნიც მარტო თავიანთი სახელით თავზარსა სცემენ მტერს. უკვე მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელებს, ისეთებს, როგორიც არის ამხ. ბუშაკოვი, ხელმძღვანელებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭათ. დღითიდღე იზრდება სახალხო გმირების, სახალხო შურისმგებლების არმია.

მამაცი პარტიზანები ფაშისტებს ერთი წუთითაც კი არ აძლევენ მოსვენებას. ისინი ანგრევენ ტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირგაბმულობას, ნალმავენ გზებს, აწყობენ შენიღბულ ორმოებს გზებზე.

პარტიზანული რაზმები უდიდესი ენერგიით სპობენ საწვავის მარაგს ზურგში და ფრონტისაკენ მიმავალ გზაზე. ყმერინკის სადგურზე ფაშისტებმა ადგილობრივი გლეხები აიძულეს დაეტვირთათ ბაქნებზე საავიაციო ბენზინით სავსე კასრები. როცა დატვირთვა დამთავრებული იყო, „ტრანსტორგბიტის“ დუქნის გამყიდველმა ამხ. სპირკოვმა ღამის წყვდიადში კასრი გახვრიტა და დაღვრილ ბენზინს ცეცხლი წაუკიდა. უზარმაზარმა ხანძარმა მოსპო ბენზინითა და საომარი მასალით დატვირთული 4 ეშელონი.

პარტიზანული რაზმების ძალას, უშიშრობასა და მოხერხებულ ტაქტიკას მოწმობს მათი თავდასხმები ფაშისტური არმიის მომქმედ ნაწილებზე, მისი მატერიალური ნაწილის მოსპობა, ჯარისკაცებისა და ოფიცრების მოსპობა. პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ამხ. მ. მეთაურობს, მოსპო გერმანელთა აეროდრომი.

ფაშისტ მძარცველებთან ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ ათასობით მამაცი საბჭოთა ქალებიც, რომელნიც შურს იძიებენ საზიზღარ მტერზე საბჭოთა ადამიანების აბუჩად აგდებისა და მათ მიმართ მხეცობის ჩადენისათვის. ბელორუსიაში ფართოდ არის ცნობილი პარტიზანული რაზმი სახელწოდებით „შურისმგებელ ქალთა რაზმი“, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირინე ტ. ერთხელ ეს რაზმი ჩუმად შეიპარა სოფელში და მოსპო ქოხში მყოფი ყველა გერმანელი ოფიცერი. მოკლულ იქნა გუშაგიც, რომელიც ცდილობდა განგაში აეტეხა. მეორეჯერ პარტიზანი ქალები ჩასაფრდნენ გზატკეცილთან, რომლითაც მტრები ავტომობილებითა და მოტოციკლებით მიმდიოდნენ, და მოსპეს ფაშისტთა დიდი ჯგუფი.

პარტიზანები ოსტატურად ხმარობენ საწვავით სავსე ბოთლებს და საკმაოდ ბევრი ტანკი მოსპეს. მოკლულია ათასობით ოფიცერი და ჯარისკაცი.

პარტიზანები ჭმნიან პატარა ნაწილებად ბრძოლის თავისებურ სახალხო ტაქტიკას. ეს ტაქტიკა თავზარსა სცემს გერმანელთა სარდლობასა და ჯარისკაცებს.

პარტიზანები დიდ, ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ წითელი არმიის რეგულარულ ნაწილებს. ისინი საუკეთესო მზერავები არიან, წითელი არმიის თვალს და ყურს წარმოადგენენ ბევრ ადგილას. პარტიზანები იხსნიან ხოლმე დაჭრილ წითელარმიელებს, ეხმარებიან გარემოცვიდან გამოსვლაში, ათავისუფლებენ ფაშისტების მიერ შეპყრობილ გლეხებს. პარტიზანების უდიდესი ძალა არის მათი სისხლხორციული კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან. ყოველ პარტიზანს ზურგს უმაგრებს ათობით მისი მეგობარი. ათობით პარტიზანს — ასობით თანასოფლელი. პარტიზანთა ასეულს — ხალხი. პარტიზანები ემყარებიან ხალხს, საშიშროების დროს ითქვიფეფებიან ხალხში, და მტერი ამაოდ ეძებს მათ. ხალხი არ გასცემს თავის დამცველებს, იმათ, ვინც შურს იძიებს ჯალათებზე გლეხების მიმართ მხეცობის ჩადენისათვის, ცოლებისა და ქალიშვილების პატივის ახდისათვის.

სიკვდილისა წილ სიკვდილით, სისხლისა წილ სისხლით უსწორდებიან პარტიზანები ფაშისტ მტარვალებს. უსაზღვროა საბჭოთა ხალხის გულისწყრომა ჰიტლერიის გაცოფებული ქოფაკების წინააღმდეგ. ისინი მოსპობილ იქნებიან—ძაღლური სიკვდილი ფაშისტ ძაღლებს!

მტრები აღიარებენ, რომ პარტიზანული მოძრაობა იზრდება, რომ იგი მრისხანე ძალას წარმოადგენს, რომ შეუძლებელია მასთან გამკლავება. ჟიტომირის ოლქის ერთ-ერთი ოკუპირებული რაიონული ცენტრის კომენდანტი, მაიორი პფული მოხსენებითს ბარათში სჩივის: „ორი კვირის განმავლობაში ვეძებდით პარტიზანულ რაზმებს. ოთხმა თვითმფრინავმა მთელი რაიონი შემოიფრინა. რამდენიმე რაზმმა გამოცდილი ოფიცრების მეთაურობით ყველა ახლომახლო ტყე, მაღლობი და ხევი გაჩხრიკა, მაგრამ პარტიზანული რაზმები ვერსად ვერ აღმოაჩინეს. მიუხედავად ამისა, დივერსიული აქტები და ჩვენი კაცების ფარული მკვლელობა არა თუ არა სწყდება, არამედ პირიქით, ძლიერდება“.

რაც უფრო გრძელდება ომი, დაწყებული გერმანელი ავაზაკების მიერ, მით სულ უფროდაუფრო მრისხანე ძალად გადაიქცევა პარტიზანული მოძრაობა. იგი იზრდება და კვლავაც გაიზრდება. საბჭოთა ხალხი მტერს აუტანელ პირობებს უქმნის. ეს პირობები სულ უფროდაუფრო მძიმე გახდება. პარტიზანების წინაშე შიში უკვე ჰფლობს ფაშისტ ჯარისკაცებს. ჩვენი სახელოვანი ემირი პარტიზანები ამ შიშს პანიკამდე მიიყვანენ. დამფრთხალ ყვავს ბუჩქისა ეშინიაო. ძნელია პარტიზანის დასმა ყოველ ბუჩქის ქვეშ, მაგრამ შეიძლება საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ფაშისტი ჯარისკაცი ყოველ ბუჩქს, ყოველ თხრილს, ყოველ ბორცვს განზე გაუფრთხდეს.

მთელი ჩვენი ქვეყანა სიამაყითა და სიყვარულით ადევნებს თვალყურს საბჭოთა პარტიზანების საგმირო საქმეებს. მათ უშიშროებაში ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებები აშკარავდება. დასცხეთ მტერს, ძვირფასო ამხანაგებო! არ მისცეთ მას არც ძილისა და არც დასვენების საშუალება! ამყოფეთ იგი მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში, მოსპეთ მისი ტრანსპორტები, ააფეთქეთ საწვავი, გაუვალი გახადეთ მისი გზა. დასცხეთ გაცოფებულ ფაშისტ ქოფაკებს! ფგება შემოდგომა თავისი გრძელი და ბნელი ღამეებით, რომლებიც პარტიზანების საუკეთესო თანაშემწეებია. ღამე საშინელია მტრისათვის, ისევე როგორც საშინელია მისთვის ჩვენი ტყეები, როგორც საშინელია მთელი ჩვენი ქვეყანა. იგი ყაჩაღივით შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში და აქვე დაიღუპება დიდი სახალხო ომის ულმობელი დარტყმების შედეგად.

„პრავდის“ მოწინავე, 6/IX.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ

დღეს, 7 სექტემბერს, ახალგაზრდობის საერთაშორისო ტრადიციული დღესასწაულია. დღეს თავისუფლებისათვის, პროგრესიული იდეებისათვის, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ახალგაზრდის სული და გული, მთელი ყურადღება მიმართულია საბჭოთა კავშირისაკენ, რომლის უძლეველი ხალხი ორ თვეზე მეტია გმირულ ბრძოლას აწარმოებს ფაშიზმ ბარბაროსების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის სამამულო ომი, ეს არის ბრძოლა არა მარტო ჩვენი ქვეყნის დასაცავად, იგი ამავე დროს არის ბრძოლა ჰიტლერელ კაიზერმია ფაშისტების საშინელებისაგან კაცობრიობის გადარჩენისათვის.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაულს, რომელიც ყველა ქვეყნების ხალხთა, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მებრძოლ ახალგაზრდების ძალთა დათვალიერების დღეს წარმოადგენს, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა სულ სხვა პირობებში აღნიშნავს, ვიდრე წარსულში. სამკვდრო-სასიცოცხლო ომმა ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, მთელი საქმიანობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა მოითხოვა. „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს“, — განაცხადა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის გამოსვლაში რადიოთი ა. წ. 3 ივლისს.

ამხანაგ სტალინის ამ ბრძნულ სიტყვებს ერთსულოვნად გამოეხმაურა მთელი ჩვენი ქვეყანა. თავის დედებთან და მამებთან ერთად ქარხნებს, რკინიგზას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებს და გაჩაღებულ თავდადებულ მუშაობას თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირელების წინადადებას კვირაობის მოწყობის შესახებ სიხარულით შეეგება ფაბრიკის მთელი კოლექტივი. დღეს აღნიშნული ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი ენტუზიაზმით გამოვლენ სამუშაოზე და გამომუშავებულ თანხას თავდაცვის ფონდში შეიტანენ. კვირაობისათვის კარგად მოემზადნენ თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდებიც. აღრიცხული არიან კვირაობის მონაწილენი, განაწილებულია სამუშაო, შექმნილია ბრიგადები. კომკავშირელებმა ვალდებულება აიღეს მიაღწიონ საწარმოო გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებას. გამრეცხავი საამქროს კომორგმა ამხ. კიკნაძემ იკისრა ხუთ საათში ხუთი კაცით შეასრულოს ის სამუშაო, რომელიც ჩვეულებრივად მოითხოვს 15 კაცის მუშაობას რვა საათის განმავლობაში.

თუ წინათ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ქუჩებში გამოსვლით, დემონსტრაციებით აღნიშნავდა, ახლა იგი ამ ტრადიციულ დღესასწაულს საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობით ეგებება. დაე თვითეული საბჭოთა პატრიოტის დღევანდელი დაძაბული მუშაობა მოხმარდეს მშობლიური წითელი არმიის ძლიერების, საყვარელი სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის კიდევ უფრო ამაღლებას და განმტკიცებას. კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის განადგურებას.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ახალი ბრძანებულებანი გერმანიის ფაშიზმის ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის წითელი არმიის უფშქმადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის პირების სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების შესახებ.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან: უმცროსი პოლიტხელი სიმონ იოსების-ძე **აბულაძე,** კაპიტანი ივანე დავითის-ძე **ღლონტი,** უმცროსი პოლიტხელი პეტრე ალექსანდრეს-ძე **სერგია;** წითელ ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულთა შორის — პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **ლესელიძე,** კაპიტანი დიმიტრი გიორგის-ძე **ბაკქიაური,** სერჟანტი აკაკი ალექსის-ძე **კოკაური,** სერჟანტი ვოგრად ილკოს-ძე **ვაშაგოსშვილი,** გიორგი ივანეს-ძე **ხეთაგუროვი;** მედალით „სიმამაცისათვის“ დაჯილდოებულთა შორის—უმცროსი ლეიტენანტი ვლას ტარასის-ძე **თვარაძე,** ხოლო მედალით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულთა შორის—უმცროსი ლეიტენანტი გერმანე ალექსანდრეს-ძე **გვენეტაძე.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 სექტემბრის დილის ცნობა

5 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მტერთან ბრძოლას მთელ ფრონტზე.

* * *

ფაშისტების ყველა ცდას, რომ გაარღვიონ ოდესის თავდაცვის ხაზი, აქარწყლებს ქალაქის მამაც დამცველთა ურყევი სიმტკიცე. ქალაქის მისადგომებთან გმირულად იბრძვიან შავიზღვის ფლოტის მეზღვაურები. ერთერთი ბრძოლის დროს წითელფლოტელთა რაზმებმა, ჩვენი ბატარიების ცეცხლის დახმარებით, ორჯერ ძიტანეს იერიში მტრის ქვეითს დივიზიაზე. გაფთრებულ ბრძოლაში მტრის დივიზიის რჩეული ნაწილები განადგურებულ იქნენ. მტერს დაახლოებით 700 ჯარისკაცი მოუკლეს და 200-ზე მეტი კაცი ტყვედ წამოიყვანეს. ამ ბრძოლაში წითელფლოტელებმა ხელთ იგდეს 18 საველე, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 8 ნაღმმტყორცნი, 6 ტანკი და ტანკეტი, ერთი ჯავშნიანი ძანქანა, 20 ტყვიამფრქვევი, 20 ავტომატი, დიდძალი შაშხანა და ხელყუმბარა, 2 მილიონი ვაზნა, სხვადასხვა ყალიბის ჭურვები და ქვემეხთა სამარაგო ნაწილები.

გერმანელთა რამდენიმე ქვემეხი ცდილობდა სროლა აეტეხა მეზღვაურთა რაზმისათვის. ჩვენმა სანაპირო ბატარიამ ამხ. პროცენკოს მეთაურობით ცეცხლი დაუშინა და ჩაახუმა მტრის 2 ბატარია. მეორე დღეს ბატარიისაკენ რუმინელთა ქვეითი ჯარი მოიპარებოდა. მეზღვაური არტილერისტები მას გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდნენ. რუმინელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით ერთ ბატალიონზე მეტი დაკარგეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

რამდენიმე დღის წინათ საკანონერო ნავ „კ“-ს და სანაპირო ბატარიის ერთობლივი საარტილერიო ცეცხლით მოსპობილ იქნა მტრის რამდენიმე საველე და ნაღმმტყორცნი ბატარია და მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ფაშისტთა ბევრი ტანკი. მტრის ორი ტანკი ლიმანში ჩაიფლო და ხელთ იგდეს ჩვენმა ნაწილებმა. სხვა ქვედანაყოფის წითელფლოტელმა არტილერისტებმა 3 დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში მოსპეს მტრის 3 ბატარია და გაჰფანტეს რუმინელთა ჯარის ერთი ქვეითი პოლკი. ოდესასთან გაჩაღებული ბრძოლის განმავლობაში გერმანიისა და რუმინეთის ჯარებს ცოცხალი ძალისა და საჭურვლის უდიდესი ზარალი მოუვიდათ.

* * *

გმირი მზერავები გაბედულად და მამაცურად მოქმედებენ ყველა ფრონტზე, ისინი ღრმად იჭრებიან მტრის ზურგში და სარდლობას აწვდიან ცნობებს მტრის რაოდენობის შესახებ, მოაქვთ ძვირფასი დოკუმენტები, მოჰყავთ „მოენინი“, უსაფრდებიან მტერს.

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ფართოდ არის ცნობილი მამაცი მზერავების უმცროს სერჟანტ ტოლსტოლუცკისა და უფროს სერჟანტ კრასოვის საგმირო საქმეები. უმცროსმა მეთაურებმა 15 მებრძოლითურთ ფაშისტთა ღრმა ზურგში დაზვერვა მოახდინეს. მზერავებმა გლეხებისაგან გაიგეს, რომ მალე სოფელში უნდა მოსულიყო მტრის მცირე ჯგუფი. ამხ. ტოლსტოლუცკიმ და კრასოვმა გადასწყვიტეს ჩასაფრებულიყვნენ. მებრძოლებმა გერმანელი ჯარისკაცები 20 მეტრზე მოუშვეს და სროლა აუტეხეს. მოსპობილ იქნა 35 ფაშისტი. მზერავებს ხელში ჩაუვარდათ 18 ველოსიპედი, 2 ხელტყვიამფრქვევი, შაშხანები და სხვადასხვა დოკუმენტები.

ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით თავისი მამაცური მოქმედებით სახელი გაითქვეს მზერავებმა — უმცროსმა ლეიტენანტმა დემიდოვმა, ეფრეიტორმა კუზოვლევმა და წითელარმიელმა გრიგორენკომ. მზერავებმა ღამით ტბა გადასცურეს და თეთრფინელთა ჯარის დიდი ნაწილის შტაბის განლაგებაში შეიპარნენ. მზერავებმა უხმაუროდ მოსპეს რამდენიმე გუშაგი და ხელთ იგდეს დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი. უკან გამობრუნებისას მათ ყუმბარებით მოსპეს შტაბის მანქანა ფინელ ოფიცერთა ჯგუფითურთ.

მზერავი ეფრეიტორი სამოხვალოვი ღამით თეთრფინელებთან ბრძოლის დროს მტრის თავდაცვის მეწინავე კიდეს მიეპარა და მის სასროლო წერტებს მიაგნო. სამოხვალოვის გამბედაობის მეოხებით არტილერისტებმა ზუსტი ცნობები მიიღეს სროლისათვის. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილ იქნა 11 ნაღმმტყორცნი და 8 სატყვიამფრქვევო ბუდე. მზერავი წითელარმიელები მიხაილოვი და იაშჩიკოვი ტყიდან თვალს ადევნებდნენ ფრონტისაკენ მტრის ჯარის ნაწილების წინსვლას. მზერავებმა შეამჩნიეს გერმანელთა ტანკი, რომელიც თავის კოლონას ჩამორჩა. მანქანის ეკიპაჟის მოსპობის შემდეგ ორივე წითელარმიელი, ყოფილი ტრაქტორისტი, გერმანელთა ტანკით ცხენის აღალს წააწყდა. მზერავებმა მოსპეს სურსათით დატვირთული 15 ოთხთვალა. ცეცხლი წაუკიდეს ტანკს და თავის ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ერთერთ კოლმეურნეობაში, ქლობინის მახლობლად, გერმანელმა ოფიცრებმა სასტიკად აწამეს, შემდეგ კი გაქლიტეს კოლმეურნეობის მოანგარიშის ამხ. ტიმკევიჩის ოჯახი. ფაშისტებმა ხიშტებით განგმირეს ტიმკევიჩი, მისი დედა, ცოლი, დაი და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი. მთელი ოჯახიდან გადარჩა მხოლოდ უფროსი შვილი — 14 წლის საშა, რომელიც ამ დროს შინ არ იყო. სახლში რომ დაბრუნდა და ყველა თავისიანის დასახიჩრებული გვამი ნახა, საშა ქლობინს წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ გერმანის ჯარმა ქლობინი დაიკავა. საშამ ხელყუმბარა იშოვნა და ქუჩაში გავიდა. იგი მოთმინებით იდგა ქუჩაში და აკვირდებოდა, თუ როგორ ჩაუარეს მას ტანკებმა, ჯავშნიანმა მანქანებმა, არტილერიამ და ქვეითი ჯარის ნაწილმა. როცა შტაბის დიდი მანქანა გამოჩნდა, სადაც რამდენიმე ოფიცერი იჯდა, საშამ მიირბინა და მანქანას ყუმბარა ესროლა. აფეთქებამ მოსპო მანქანა და ყველა გერმანელი ოფიცერი. გამხეცებულმა ფაშისტებმა აჭიკუჭეს ყუმბარის ნამსხვრევით მოკლული გმირის სხეული.

* * *

როდესაც ფაშისტებმა ხელთ იგდეს დნეპროპეტროვსკი, მხეცურად გაუსწორდნენ მცხოვრებლებს, რომლებმაც ქალაქის დატოვება ვერ მოასწრეს. გაბოროტებულნი იმით, რომ ქალაქში სურსათის არავითარი მარაგი და ფასეულობა არ აღმოჩნდა, ფაშისტი მაროდერები იჭრებოდნენ სახლებში და ხოცავდნენ მცხოვრებთ. ქალაქიდან გაქცეულმა ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების მოსამსახურემ ა. კ. პრიხოდჩენკომ მოგვითხრო, რომ ჩიჩერინის ქუჩის № 17 სახლში ფაშისტებმა ყველა ბინა გაძარცვეს, ხოლო მცხოვრებნი გაქლიტეს. დიდი ბაზრის ქუჩაზე მთვრალმა ფაშისტმა ჯარისკაცებმა სამი ქალი დააკავეს. გერმანელებმა ისინი ბოძებზე მიაკრეს, მხეცურად შებილწეს და შემდეგ მოჰკლეს“. დნეპროპეტროვსკის რკინიგზის დეპოს მუშამ ნ. ა. კუზმენკომ განაცხადა, რომ „სასაფლაოსთან ფაშისტებმა ტყვიამფრქვევებით ასზე მეტი კაცი დახვრიტეს იმისათვის, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელებს, რომლებიც სახლებს ძარცვავდნენ“.

შემაძრწუნებელი სურათის მოწმენი იყვნენ აუშკინის ქუჩის № 4 სახლის მცხოვრებნი — გ. ს. ნეფედოვი, დ. ზ. კირილენკო, ი. გ. ჟუკოვსკაია და ა. მ. პეტრუნიჩევა. „საღამოს აუშკინის ქუჩაზე, — ამბობენ ისინი, — ფაშისტთა ბანდა მათრახისა და ჯოხის ცემით მიერეკებოდა ქალაქის მცხოვრებთა ჯგუფს, რომლებიც სრულიად გაშიშვლებული იყვნენ. გასისხლიანებული ადამიანები ეცემოდნენ, მათ მხეცურად სცემდნენ და წინ მიერეკებოდნენ. დაპატიმრებულთ ქუჩის ბოლოში გერმანელ ცხენოსანთა პატრული დაეწია. ჯარისკაცები და ოფიცრები გალუშილნი იყვნენ. ოფიცერი მიუვარდა დაპატიმრებულებს, იძრო ხმალი და თავში დაჰკრა ახალგაზრდა ქალს. გაისმა ყვირილი. ოფიცერი ეძგერა მეორე ქალს, მან პირისახეზე ხელი აიფარა. ხმლის დარტყმით ხელი მოკვეთილ იქნა. უბედურნი აქეთ-იქეთ ეცნენ. ეს ჯარისკაცთათვის სიგნალი შეიქნა. ისინი მისცვივდნენ დაპატიმრებულთ და მხეცურად აჭიკუჭეს 27 კაცი“.

6 სექტემბრის საღამოს ცნობა

6 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მტერთან ბრძოლას მთელ ფრონტზე.

ჩვენი ავიაცია მასირებულად ესხმოდა თავს მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ნაწილებს, ქვეითს ჯარსა და არტილერიას ბრძოლის ველზე და სპობდა ავიაციას მტრის აეროდრომებზე.

დაზუსტებული ცნობებით, 3 სექტემბრის განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის არა 33 თვითმფრინავი, როგორც წინათ იყო აღნიშნული, არამედ 56 თვითმფრინავი.

4 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და, უმთავრესად, მტრის აეროდრომებზე მოსპობილ იქნა გერმანიის 61 თვითმფრინავი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

საბჭოთა არტილერისტები გმირულად ებრძვიან გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, ჩვენი ქვემეხების მარჯვე ცეცხლით იღუპებიან ათასობით გერმანელი ჯარისკაცები, ასობით ტანკები, ჯავშნიანი ავტომანქანები და ავტომობილები, ათობით საარტილერიო, სანაღმტყორცნო და სატყვიამფრქვევო ბატარიები. როგორც ცნობილია, 4 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს აწარმოებდნენ მტერთან მთელ ფრონტზე. საბჭოთა არტილერისტებმა ამ დღის განმავლობაში მოსპეს არანაკლებ 15 ათასი გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრისა, სხვადასხვა ყალიბის 100-ზე მეტი ქვემეხი, ტყვიამფრქვევის 34 ბუდე, ნაღმმტყორცნთა 48 ბატარია, 18 პონტონის ხიდი და გადასასვლელი, 940 ავტომობილი და 180-მდე ტანკი და ჯავშნიანი ავტომანქანა. გერმანელ-ფინელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში თავდადებულად მოქმედებენ ლეიტენანტ მიზენცევის ბატარიის მებრძოლები. ამ დღეებში ამხ. მიზენცევის ბატარიამ მთლიანად მოსპო გერმანელთა დიდი ავტოკოლონა. დამსხვრეულია რამდენიმე ათეული ავტომობილი მოწინააღმდეგის საომარი მასალებითა და ქვეითი ჯარით. ლეიტენანტ პეტრუნიჩევის ბატარიამ, რომელიც მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირს იცავს, უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ჩაშალა გერმანელთა ოთხი ცდა მოეწყოთ გადასასვლელი. ბატარიის ცეცხლით მოსპობილია 500-მდე მესანგრე და ჯარისკაცი, 45 ავტომანქანა, 3 საზენიტო სატყვიამფრქვევო დანადგარი, რამდენიმე ტანკი და სასანგრე ინვენტარის დიდი რაოდენობა. გადასასვლელთან ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქვემეხების მემიზნეებმა არტამონოვმა და გოროხოვმა. პირველმა დაამსხვრია ფაშისტთა 3 ტანკი და 12 ავტომანქანა, მეორემ—ჩაახუმა და მოსპო გერმანელთა ბატარია, რომელიც 4 ქვემეხისაგან შესდგებოდა. უფროს ლეიტენანტ რუბოჩკინის საარტილერიო ოცეულმა, რომელიც დასახმარებლად მოვიდა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2 ტანკეტი, მრავალი ტყვიამფრქვევი, ავტომატები და რადიოსადგური.

* * *

ფრონტის დასავლეთის მიმართულებით ერთმა ჩვენმა ნაწილმა მტერს დიდი ზარალი მიაყენა. საბჭოთა ჯარებმა იერიში მიიტანეს და მოსპეს მღწის 22 ხანგრძლივი საცეცხლო წერტი, 8 ტანკსაწინააღმდეგო ბატარია, 12 დაზგის ტყვიამფრქვევი და ნაღმმტყორცნთა 5 ბატარია. მოკლულია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ 6 ტანკი, 2 მოტოციკლი, ჭურვებით სავსე ყუთები და რამდენიმე ათასი ვაზნა. დასავლეთის მიმართულების სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილმა ერთი დღის განმავლობაში დასწვა მტრის 3 და დაახიანა 9 ტანკი, ხელთ იგდო ნაღმებით სავსე 270 ყუთი. № შენაერთმა ერთი დღის განმავლობაში წარმოებული შეტევითი ოპერაციების დროს გაანადგურა მტრის 3 მსროლელთა ასეული, მოსპო და ხელთ იგდო 12 ტყვიამფრქვევი, 2 ზარბაზანი და 18 ნაღმმტყორცნი. № ავიაშენაერთმა, რომელიც ფრონტის დასავლეთის მიმართულებით მოქმედებს, ამავე დღის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანა ფაშისტთა 40 ტანკი, 30 ავტომანქანა, 10 ქვემეხი, ჩააჩუმა 3 საველე და 1 საზენიტო ბატარია, მოსპო 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გემმა, რომელსაც კომისარი ამხ. ბირიუკოვი მეთაურობს და რომელიც დნეპრის ფლოტილის შემადგენლობაში შედის, ჯავშნიან მატარებელთან ურთიერთმოქმედებით მოსპო 3.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც დნეპრზე გადმოსვლას ცდილობდნენ. ამ გემის მეზენიტემ წითელფლოტელმა ბოიკომ ორი გასროლით ჩამოაგდო გერმანიის ყუმბარმშენი „იუნკერს-88“.

* * *

ოდესის მისასვლელებთან ბრძოლებში დაჭრილია ათეულ ათასობით გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი. ფაშისტურ სარდლობას არ ძალუძს უზრუნველჰყოს დაჭრილთა დროული გაყვანა ფრონტის ზონიდან. არა ჰყოფნით სანიტარული მანქანები და ურმები. დაჭრილთა გასაყვანად გერმანელები იყენებენ სატვირთო ავტომანქანებს, რომლებსაც ფრონტზე საბრძოლო მასალები მიაქვთ. მანქანების მოლოდინში გზებთან თავს იყრიან ათასობით დაჭრილები, რომლებიც ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე რჩებიან. გერმანელმა სამხედრო ექიმმა ფიშერმა, რომელიც თავისი ნებით დაგვნებდა ტყვედ, განაცხადა, რომ ბრძოლის ველზე დაჭრილ გერმანელ და რუმინელ ჯარისკაცთა ნახევარი ვერ აღწევს სანიტარულ პუნქტებამდე და ჰოსპიტლებამდე. ოდესის ოლქის დაბა ბლაგოვეშჩენსკთან ბრძოლის შემდეგ გერმანელმა და რუმინელმა სანიტარებმა გაიყვანეს 900 მოკლული და 2100 დაჭრილი გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სამი დღის შემდეგ 2.100 დაჭრილიდან მოკვდა 900 კაცი, ვინაიდან სარდლობამ არ გამოგზავნა არცერთი მანქანა თუნდაც მძიმედ დაჭრილი ოფიცრებისათვის. უდიდესი სიკვდილიანობა აიხსნება იმითაც, რომ საკმარისი არ არის არა მარტო მედიკამენტები, არამედ სამედიცინო პერსონალიც.

* * *

მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, პარტიზანული მოძრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომის ფრონტებზე

კიევის გმირული დაცვა

მომძმედი არმია, 6 სექტემბერი (საკდესის სპეცკორი). კიევის მიმართულებით შემოტევისას, გერმანელებმა თავი მოუყარეს ყველა გვარეობის ჯარებს. აგვისტოს პირველ რიცხვებში ქალაქის თავდაცვის სამხრეთ სექტორის მხრიდან დააგროვეს მე-44, მე-95 და მე-229 ქვეითი დივიზიები. ამ დივიზიებში შედიოდა სამნახევარ პოლკამდე არტილერია; ნაწილებს უხვად ჰქონდათ ნაღმმტყორცნები და ავტომატური იარაღი. 5 აგვისტოს მოწინააღმდეგემ ფრონტის ამ უბანზე დიდძალი თვითმფრინავი გამოიყვანა. თვითმფრინავთა მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილი იყო ჩვენი არტილერიის ჩასახშობად, რომელიც თავისი გრიგალისებრი ცეცხლით მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა გერმანელებს. 8 აგვისტოს ფაშისტთა სარდლობამ მთელი ძალებით დაიწყო შემოტევა. მოწინააღმდეგის მოწოლის გამო ჩვენმა ნაწილებმა ახალ ზღუდეებზე გადმონაცვლეს.

მაგრამ 9 აგვისტოსვე, ჰაერიდან ბომბარდირებისა და ნაღმმტყორცნისა და არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ჩვენმა არტილერიამ მტრის შემოტევა შეაჩერა. ჩვენმა არტილერიამ გერმანელთა საცეცხლე წერტილები ჩაახშო და მთელი თავისი სიმძლავრით დაატყდა თავს ცოცხალ ძალას. არტილერია ცეცხლს უშენდა მთავარი მიმართულებით, საითკენაც გერმანელები მოისწრაფვოდნენ — სოფლებს — ყ-ს, ს-სა და ს-ს. ამ ოპერაციაში მხედრული გაწრთვნილობის, გამძლეობისა და ვაჟკაცობის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენეს პოლკოვნიკ ვორონცოვის, მაიორ რიაბინის და სხვათა საარტილერიო ქვედანაყოფებმა; ამ ქვედანაყოფებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის დიდძალი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეები და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მის ცოცხალ ძალას. საარტილერიო კანონადა დღედაღამ გრიალებდა. გერმანელებმა გრიგალისებრ ცეცხლს ვერ გაუძლეს და 9 აგვისტოს საღამოს უკან დაიხიეს სოფელ ყ-დან.

ჩვენმა ჯარის ნაწილებმა კონტრიერიში განავითარეს სამხრეთის მიმართულებით და 10 აგვისტოს დღის მიწურულში დაიკავეს სოფლები—შ., გ. და სოფელ პ-ს ჩრდილოეთის განაპირა უბანი. 11 და 12 აგვისტოს განმავლობაში შეტევა გრძელდებოდა. ჩვენებმა მტერი უკუაგდეს სამხრეთიდან და 13 აგვისტოს თავდაცვის ახალი ხაზი დაიკავეს.

კიევის მისადგომებზე ჩვენმა არტილერიამ მოსპო ფაშისტთა 23 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 72 ავტომანქანა, 11 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 საწყობი საომარი და საწვავი მასალითურთ. ჩაახშო 39 საარტილერიო და 49 სანაღმმტყორცნო ბატარია, 178 საცეცხლე წერტილი, მოსპო მტრის დიდძალი ცოცხალი ძალა.

სოფელ ყ-დან გერმანელთა გარეკვის შემდეგ, ჩვენმა ნაწილებმა იქ ნახეს გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უამრავი სამარე და გვამების გორები, რომელთა დასაფლავება ფაშისტებს ვერ მოესწროთ. ასეთივე სურათი იყო სხვა სოფლებშიც, რომლებიც წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს. გერმანელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ დაჭრილთა სახითაც. ადგილობრივ მცხოვრებთა და ტყვედ წამოყვანილთა სიტყვით, დაჭრილებით სავსე იყო ფრონტის მახლობლად მდებარე ყველა სოფელი. გერმანელებს დაჭრილთა გადასაყვანად ტრანსპორტი არ ეყოთ.

ფაშისტთა მე-44, მე-95 და მე-229 ქვეითი დივიზიების განადგურების შემდეგ, ჩვენმა ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს საველე ფოსტა და მნიშვნელოვანი საშტაბო დოკუმენტები. გერმანელთა სარდლობის ბრძანებებში აღნიშნულია მათი უდიდესი ზარალი და ნაბრძანებია—დაუყოვნებლივ შეადგინონ ხელახლად დივიზიები, ბატალიონებად შეაერთონ დამარცხებული ნაწილები, უახლოეს ხანში ნუ დაელოდებიან შევსებას და ბრძოლა აწარმოონ ჯარისკაცთა და ოფიცერთა არსებული შემადგენლობით.

თავიანთ მძიმე ზარალს, განსაკუთრებით საარტილერიო ცეცხლისაგან მიყენებულ ზარალს ფაშისტები წითელი არტილერისტებისადმი მიმართულ სპეციალურ ფურცელშიც კი აღიარებენ. მტერი გოფრთხილებას იძლევა—საბჭოთა არტილერისტებს, რომლებიც ტყვედ ჩაგვივარდებიან, არ დავზოგავთო. მტრის ამ ისტერიულმა ქადილმა მებრძოლებში მხიარული სიცილი გამოიწვია: მამაც არტილერისტებს არასოდეს არ უფიქრნიათ, რომ ტყვედ ჩაუვარდებიან ფაშისტებს.

28 აგვისტოს ღამით, ხანმოკლე საარტილერიო და სანაღმმტყორცნო სროლის შემდეგ, გერმანელები შეეცადნენ კვლავ გადმოსულიყვნენ შეტევაზე და იერიში მოიტანეს ჩვენი თავდაცვის წინა ნაპირზე სოფელ ნ-ს და ტ-ს საბჭოთა მეურნეობის რაიონში. ერთგან ფაშისტებმა ასეული გამოუშვეს, მეორეგან კი 2 ასეული ქვეითელი. ამხ. ბალაბანოვისა და კუდლაის არტილერიამ სწრაფად ჩაახშო გერმანელთა ბატარეების ცეცხლი და გზა გადაუჭრა ქვეითელებს. მტერი კვლავ უკუქცეულ იქნა ჩვენი თავდაცვის წინა ნაპირიდან და მან დიდი ზარალი განიცადა.

გმირული წითელი არმია, მამაცი სახალხო ლაშქარი და ყველა კიეველი, რომელსაც კი იარაღის ტარება შეუძლია, მედგრად და მამაცურად იცავს საბჭოთა უკრაინის ტურფა დედაქალაქს ფაშისტი ბარბაროსების შემოსევისაგან.

ა. კრასნოვი

მჭერს ხრიკი არ გაუვიდა

მომძმედი არმია (საკდესი). ქალაქ ნ-სკენ მიმავალ გზაზე სამხედრო ნაწილების ალაღები და მშვიდობიან მოქალაქეთა ურმები მიდიოდა. გზის მიღმა საზენიტო ქვემეხთა ბატარეა იდგა. ტყის ნაპირას ისვენებდნენ მებრძოლნი — ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა გუნდი. სადღაც შორს ქვემეხთა გრიალი ისმოდა.

...შვიდი შავი ტანკი გამოვარდა გზაზე; მათ სურდათ პანიკა შეექმნათ, გაესრისათ და ფეხქვეშ გაეთელათ ადამიანები, რომლებსაც მათ მოუმზადებელთ მოუსწრეს, და დაუსჯელად მიმალულიყვნენ.

№ შენაერთის საკომენდანტო ოცეულის მეთაურმა, კომკავშირელმა ლეიტენანტმა ივანე ლობეცმა, რომელიც ერთერთი საბარგო მანქანით მიდიოდა, სწრაფად შეაფასა ვითარება და იწყო განკარგულების გაცემა.

— შესდექ! — შესძახა მან წითელარმიელებს, — მოიმზადეთ ყუმბარების შეკრა!

ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებმა სასწრაფოდ დაიკავეს სასროლო პოზიციები. ტანკებისათვის პირდაპირი დამიზნებით სასროლად მოემზადა საზენიტო ბატარეაც.

როდესაც ტანკებმა სროლა ასტეხეს, ლობეცმა ბრძანება გასცა სროლა დაიწყეთო.

შეტაკება ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი იყო. მეზენიტეებმა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა 10-15 წუთის განმავლობაში მტრის 6 მანქანა დაამსხვრიეს, მეშვიდე ტანკის ეკიპაჟი ტყვედ დანებდათ.

ტყვეების ჩვენებით გამოირკვა, რომ ჩვენს გზაზე გამოსული ტანკები მოწინააღმდეგის იმ დესანტის ნაწილს შეადგენდნენ, რომელიც ჩვენს ზურგში შემოჭრილიყო, რათა ფრიად მნიშვნელოვანი მაგისტრალის მოძრაობა მოეშალა. გერმანელებმა ვერ განახორციელეს ეს ცდა.

ხიდი აფეთქებულია

მომძმედი არმია, 4 სექტემბერი (საკუსის სპეცკორ.). გერმანელები იერიშისათვის ემზადებოდნენ და რკინიგზით თავს უყრიდნენ ახალ-ახალ ძალებს.

იმ ავიანაწილის საბჭოთა ყუმბარმშენების ეკიპაჟს, რომელსაც ამს ფილინი მეთაურობს, დაევალა მოესპო ამ გზაზე ხიდი. ჰაერში მფრინავი ამხ. ლიახი აფრინდა შტურმან ამხ. სიმონჩუკთან ერთად. თვითმფრინავი მალე მიიძალა ღრუბლების მრავალსართულიან ფენებში. აქ, დიდ სიმაღლეზე, მან კურსი აიღო და ხელსაწყოების მიხედვით გასწია მიზნისაკენ.

დანიშნულ ადგილას წითელვარსკვლავიანი მანქანა ღრუბლებიდან გამოვიდა. ამხ. ლიახმა ოსტატურად იწყო პიკირება და ჩამოაგდო ყუმბარების მთელი მარაგი. ყუმბარები რკინიგზის ფერმას მოხვდა და გაზზე მიაბრუნა იგი. ხიდი დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან. ფაშისტ მეზენიტეთა დაგვიანებულმა სროლამ ვერაფერი ზიანი ვერ მიაყენა თვითმფრინავს.

არასრული ცნობებით, ამხ. ფილინის ავიანაწილმა ბრძოლების განმავლობაში მოსპო მტრის 64 თვითმფრინავი, 47 ტანკი, 20-მდე საარტილერიო ბატარეა და მრავალი სატყვიამფრქვევო დანადგარი.

ი. ლაპონოგოვი

მომქმედი არმია. სიმამაცისა და ვაჟკაცობას იჩენენ იმ ესკადრონის ცხენოსანი მზვერავები, რომელსაც კაპიტანი მ. ა. პოპოვი მეთაურობს. მამაცი წითელი კავალერისტები არაერთხელ შეჭრილან მტრის ღრმა ზურგში, მისთვის დიდი ზარალი მიუყენებიათ და ძვირფასი ცნობები მოუპოვებიათ. **სურათზე:** ცხენოსნები დაზვერვაზე.

ფოტო ი. ანცელოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა პატრიოტი ქალების წმინდა მოვალეობა

— საბჭოთა ქალს მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო... თუ მტერი გაბედავს ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას, მას რისხვა დაატყდება... თანასწორუფლებიან მებრძოლად ამოუდგება მამაკაცს გვერდით ქალი... თავის ბედნიერებას საბჭოთა ქალი არავის დაუთმობს!

საბჭოთა კავშირის გმირის, ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო ქალის კაპიტან პოლინა ოსიპენკოს ეს სიტყვები დადასტურდა ახლანდელ დიდ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ მრისხანე ომს, როდესაც ჩვენი ქვეყანა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს გაცოფებულ მტერთან, თვითეულ საბჭოთა პატრიოტ ქალს თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში.

მრავალმა საბჭოთა პატრიოტმა ქალმა გამოსთქვა სურვილი წავიდეს ჰოსპიტლებში, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო დაწესებულებებში სამუშაოდ. ათასობით წავიდნენ ქალები ფრონტზე ექმედბად, მედიცინის დებად, სანიტარებად.

საბჭოთა პატრიოტ ქალთა მოწინავე რიგებში ქართველი ქალებიც არიან.

ელენე ისიდორეს-ასული დალაქიშვილი 27 ივნისს ამბროლაურის სამხედრო კომისარიატმა მიამაგრა ერთერთი რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებას. ამხ. ე. დალაქიშვილი ახლა მუშაობს ჰოსპიტალში ექიმის თანაშემწედ. „არ დავიშურებ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას დაჭრილ წითელ მებრძოლთა მოსავლელად, მათ განსაკურნავად. ფაშისტების მიერ მიყენებულ ჭრილობებს განკურნავთ, წითელ მებრძოლებს ფეხზე დავაყენებთ, რათა ახალი ენერგიით, გაასკეცებული რისხვით ეკვეთონ საზიზღარ მტერს",—სწერს ამხ. ე. დალაქიშვილი.

ექიმის თანაშემწე ნინო იპოლიტეს-ასული სირაძე გვწერს: „მოვუვლი გმირ მებრძოლებს, როგორც საკუთარ ძმებს. კომკავშირულ ფიცს ვიძლევი ისე შევასრულო ჩემი მოვალეობა, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი საომარი ვითარება. ჩვენი სიტყვა და საქმე, მთელი ჩვენი ენერგია და შესაძლებლობა—სამშობლოს კეთილდღეობას, მუხანათ მტერზე გამარჯვებას!".

მარო ივანეს-ასულმა ეგნატაშვილმა (ლაგოდეხის რაიონი) მოისურვა ფრონტზე წასვლა. მისი სურვილი დაკმაყოფილებულ იქნა. „მრდივარ სამშობლოს დასაცავად,—გვწერს ამხ. მ. ეგნატაშვილი. — მივდივარ წითელ მებრძოლთა დასახმარებლად. ცეცხლს ხაზზე ვიმუშავებ, ჭრილობებს შევუხვევ სამშობლოს დამცველებს. თუ საჭირო იქნება, ჩემი ზურგით გამოვიტან ბრძოლის ველიდან დაჭრილ მებრძოლებს. არ დავანებებ მათ მტეც ფაშისტებს, რომლებიც „ვაჟკაცობას" იჩენენ დაჭრილებთან, მოხუცებთან, ბავშვებთან, ქალებთან. საერთო ძალღონით გავსრისოთ სისხლისმსმელი ფაშისტები. მთელი ჩვენი ძალღონე მათ შესამუსრად!".

№ ნაწილის უფროსი ექიმის თანაშემწე **ნადეჟდა ნესტორის-ასული ვაშაკიძე** ფრონტიდან მიმართავს საბჭოთა ქალებს:

„ამხანაგო ქალებო! ვიბრძოლოთ, რათა რაც შეიძლება მალე გავანადგუროთ ბანდიტი ფაშისტები, რათა რაც შეიძლება მალე მოვსპოთ კაცობრიობის წყრდილა—ავაზაკი ჰიტლერი და მისი ხროვა. ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენ გმირულ წითელ არმიას ფრონტზე და ზურგში.

მე ვმუშაობ ექიმის თანაშემწედ. ყოველ ღონეს ვიხმარ თვითეული დაჭრილი წითელარმიელის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მათ განსაკურნავად. თუ საჭირო გახდება, იარაღსაც ავიღებ ხელში და წითელარმიელთა გვერდით ვიბრძოლებ ვერაგი მტრის მოსასპობად.

თავდაცვის სახალხო ფონდში მე შევიტანე 500 მანეთი ფულად და 450 მანეთის ობლიგაციები. დავეხმაროთ ჩვენ მშობლიურ წითელ არმიას, რითაც შეგვიძლია. ფაშიზმის აღსასრულის ჟამი ახლოა!".

ასეთია თვითეული საბჭოთა პატრიოტი ქალის აზრი და გრძნობა. ვერ ეღირსებიან მხეცი ფაშისტები წაართვან საბჭოთა ხალხს შეუპოვარ ბრძოლასა და შრომაში მოპოვებული ბედნიერება. საბჭოთა ქალს უყვარს თავისი სამშობლო, რომელმაც მისცა მას ახალი, ბედნიერი ცხოვრება. იგი იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ფრონტზე და ზურგში, ფაშიზმის საბოლოო განადგურებამდე.

შ. გვინჩიძე

ემ. იაროსლავსკი

ჩვენი ძალები იზრდებიან

როდესაც ჰიტლერი იწყებდა გერმანიაში უაღრესად არაპოპულარულ ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ, მას იმედი ჰქონდა, რომ სწრაფად დაუძლურებდა სსრ კავშირს, ელვის სისწრაფით დაამთავრებდა მასთან ომს, მოახდენდა სსრ კავშირის სრულს იზოლირებას, „ჯვაროსნულ ლაშქრობას" მოაწყობდა მის წინააღმდეგ. ვერცერთ ამ მიზანს ჰიტლერმა ვერ მიაღწია.

ორი თვის ომის განმავლობაში ჰიტლერმა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში დაჰკარგა ორ მილიონზე მეტი კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით, მაშინ როდესაც იმ სისხლისმღვრელი ომების **მთელი ხნის განმავლობაში,** რომლებსაც ჰიტლერი აწარმოებს მსოფლიოს ხალხთა წინააღმდეგ, მან დაჰკარგა 2.930 ათასი კაცი. აქ შედის როგორც ის დანაკლისი, რაც გერმანელებმა განიცადეს ესპანეთში იტალიელების დროს, პოლონეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, აფრიკასა და ბალკანეთში, დანაკლისი საჰაერო ბომბარდირებისაგან, ისე აგრეთვე ის დანაკლისი, რაც მათ განიცადეს სსრ კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. მაშასადამე, **იმის ორი მესამედი, რაც ჰიტლერმა დაჰკარგა მთელი თავისი სისხლიანი ავანტიურის დროს,** მან დაჰკარგა მარტო ორი თვის **ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ.** რა იმედი უნდა ჰქონდეს მას, რომ მესამე ან მეოთხე თვე მისთვის უფრო ბედნიერი იქნება ამ ომში?! განა, პირიქით, ახლა უფრო არ გაიზრდება მისი დანაკლისი, როდესაც მან უზომოდ გასჭიმა ფრონტი, როდესაც მტრის ზურგში მოქმედებენ ათასობით პარტიზანული რაზმები, როდესაც საბჭოთა ხალხი ახდენს მთელი თავისი ძალების მობილიზაციას მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, როდესაც გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ღვივდება საყოველთაო-სახალხო ომის ხანძარი, როდესაც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ძალები დღითიდღე იზრდებიან ჰიტლერის არმიისათვის გადამწყეტი ლახვრის ჩასაცემად?

ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ გერმანიის დანაკლისი აღმოსავლეთის ფრონტზე პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს. მაშინ **ოთხი წლის** ომის განმავლობაში გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაჰკარგეს 2.590 ათასი კაცი, ხოლო ამჟამად სსრ კავშირის წინააღმდეგ **ორი თვის** ომის მანძილზე გერმანელებმა დაჰკარგეს ორ მილიონზე მეტი კაცი. მაშასადამე, **სსრ კავშირის წინააღმდეგ მარტო ორი თვის ომის განმავლობაში გერმანელებმა 1941 წელს დაჰკარგეს იმის ორი მესამედი, რაც მათ აღმოსავლეთის ფრონტზე დაჰკარგეს პირველი იმპერიალისტური ომის ოთხი წლის განმავლობაში.**

როდესაც ჰიტლერი იწყებდა ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ, მას იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდა. მას არ ეგონა, რომ ომი გაჭიანურდებოდა. ახლა კი ყველასთვის აშკარაა, რამდენად მაგრად ჩაეფლნენ კლანჭებით ფაშისტი სვავები: ვეღარ ამოაძრობენ ისინი თავიანთ კლანჭებს, უსახელოდ დაღუპებიან ჩვენი ქვეყნის სივრცეებში, რომლებიც ასე ამოიჭრეს გულში ამ ბანდიტებმა! სხვათა შორის, როდესაც ჰიტლერი დაადგა თავის სისხლიან გზას, მას არაერთხელ განუცხადებია, რომ უნდა მოსპოს სულ ცოტა 20 მილიონი სლავი — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, პოლონელი, ჩეხი, იუგოსლავი, ბულგარელი და სხვ., რათა გაათავისუფლოს „საარსებო სივრცე" გრძელთავიანი წმინდასისხლიანი არიელებისათვის. მას არაერთხელ უთქვამს თავის ბოროტმოქმედებათა თანამონაწილეებისათვის, რომ ერთი წუთითაც არ შეყოყმანდება, რათა ამისთვის სასიკვდილოდ გაიმეტოს რამდენიმე მილიონი გერმანელი, ხალხის მშვენება. ახლა მან უკვე მოსპო რამდენიმე მილიონი გერმანელი, მაგრამ თავის მიზნებს ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს.

რისი იმედი აქვს, რისი იმედი უნდა ჰქონდეს ფაშისტთა პირსისხლიან ბანდას? მისი „ჯვაროსნული ლაშქრობა" სსრ კავშირის წინააღმდეგ უაღრესად საძარცხვინოდ ჩაიფუშა. მისი გეგმები ელვისებური ომისა ჩაშალა. ზღაპარი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ გაქარწყლებულია, გაცამტვერებულია. ფაშისტური „იდეოლოგიისა" და ფაშისტური არმიის მთელი სიდამპლე, ყველა სუსტი ადგილი გამოაშკარავებული, გამომზეურებულია მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე. მტრის ბანაკში . უკვე ვამჩნევთ სერიოზულ შეშფოთებას ხვალინდელი დღისათვის. გარდუვალად ახლოვდება ხალხთა საშინელი სამსჯავრო, რომლის წინაშეც წარსდგება კაცობრიობის უბოროტესი მტერი. მაღალ მთებიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით იზრდება ფაშიზმისადმი სიძულვილის ტალღა, სულ უფრო მძლავრად იკუმშება ჩაგრულთა მუშტი. მათი ხელი იარაღს სწვდება. განუზომლად იზრდება ძალა, რომელმაც გადამწყვეტი ლახვარი უნდა ჩასცეს მტერს. **მტერი წინ ისწრაფვის, რადგან მას ეშინია შეჩერებისა, რადგან შეჩერება მისთვის ნიშნავს საკუთარი უძლურების აღიარებას, რადგან შეჩერება მისთვის ნიშნავს უკანდახევის აუცილებლობას.** ხოლო უკან მას ელიან მილიონობით ადამიანები, რომლებიც მან გააპარტახა, დაამცირა, გაძარცვა; უკან მას ელის მშიერი გერმანია, ხალხი, რომელმაც ესოდენი ტანჯვა გადაიტანა ფაშისტთა ბანდის ბატონობის გამო.

ამასწინათ ტყვე გერმანელმა ოფიცრებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, სადაც ისინი სწერენ: „რუსეთის წინააღმდეგ ომში გერმანიის არმია სისხლისგან დაიცლება. ეს ომი უპერსპექტივოა. იგი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ისეთი კატასტროფით, რომელთან შედარებითაც 1918 წლის კატასტროფა ბავშვური თამაშია". გერმანიის არმიის, გერმანიის ფაშიზმის ეს კატასტროფა გარდუვალად ახლოვდება.

„ომების ისტორია მოწმობს, რომ მუდამ ის სახელმწიფოები და არმიები იმარჯვებდნენ, რომელთა ძალები ომის პროცესში იზრდებოდნენ, ხოლო მარცხდებოდნენ ის სახელმწიფოები და არმიები, რომელთა ძალები ომის პროცესში ილეოდნენ და მცირდებოდნენ". ფაშიზმის ძალები ილევიან. ხოლო მთელს მსოფლიოში იზრდება ანტიფაშისტური კოალიცია და დემოკრატიული სახელმწიფოების კოალიციაში, რომელიც დაასამარებენ ფაშიზმს, ერთერთ ყველაზე მძლავრ ძალას წარმოადგენენ სსრ კავშირის ხალხები და მათს სათავეში მდგომი რუსი ხალხი.

* * *

ჩვენი ძალები იზრდებიან. მტრის ძალები თანდათან ილევიან. მარტო აგვისტოს პირველი სამი კვირის მანძილზე ბრძოლებში, რომლების დროს წითელი არმია იცავდა ყოველ ქალაქს, ყოველ სოფელს, ყოველ გოჯ საბჭოთა მიწა-წყალს, გერმანიის არმიებმა დაჰკარგეს 12 სატანკო დივიზია, 37 ქვეითი დივიზია, 8 მოტორიზებული დივიზია, სხვადასხვა დივიზიის 20-ზე მეტი ცალკეული ქვეითი პოლკი, დამკვრელ ფაშისტურ ნაწილთა რამდენიმე ქვეითი დივიზია „სს", ახალი დამკვრელი დივიზიები, მათ შორის რუმინეთის რამდენიმე დივიზია. ბრძოლების შედეგად გერმანიის ბევრ დივიზიას მარტო ნომერიღა შერჩა. დუ რა დანაკლისი აქვთ გერმანელებს, ეს სჩანს თვით გერმანელთა მთელი რიგი ცნობებიდან. — აი უკვე გომელში ვართ, — სწერს თავის ცოლს მიუნხენში ფელდფებელი, რომელიც გაუგზავნელ წერილთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს გომელთან. —... ათი დღის წინათ ჩვენს ასეულში 138 კაცი ვიყავით. ახლა 18 დავრჩით. დღეს დილიდან საღამომდე დავხეტიალობდით გომელში იმ იმედით, რომ რაიმეს ვიშოვნიდით შენთვის საჩუქრად და საკუთარი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქში არაფერი არ არის. ვაშლსაც კი ვერ ნახავ ბაღებში...

გენერალ-მაიორი ბერეზოვსკი აღწერს მრავალი დღის ბრძოლას გომელისათვის და იუწყება, რომ გერმანელებმა დაჰკარგეს 80 ათასამდე კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, დაახლოებით 200 ტანკი, რამდენიმე ასეული ქვემეხი და ათასობით ავტომანქანა, 100-მდე თვითმფრინავი. აი რა დაუჯდა ფაშისტურ სარდლობას გომელი.

წითელი არმია გამოიწრთო ორი თვის განმავლობაში ბრძოლით. ტანკისტები, არტილერისტები, ქვეითი მებრძოლები, კავალერისტები, მესანგრეები, მფრინავები, მეზღვაურები, მეკავშირენი—ჯარის ყველა ნაწილი და გვარეობა თავდადებულად მოქმედებს. მათი სიმამაცე, უშიშარობა, სიკვდილის არაფრად ჩაგდება მთელი ქვეყნის ხალხთა აღფრთოვანებას იწვევს, შიშის ზარსა სცემს მტერს. მტერს ეშინია ჩვენი ქვეითი ჯარის ხიშტით იერიშისა და გაურბის მას. მტერს ეშინია ღამის ბრძოლისა. ფაშისტი მფრინავები ხშირად თავს არიდებენ ჩვენს შეავრდნებთან საჰაერო ბრძოლას. მტერმა იწვნია ჩვენი მეზღვაურების დარტყმა. 6 კვირის განმავლობაში მარტო აღმოსავლეთის ფრონტზე მან დაჰკარგა დაახლოებით 10 პროცენტი თავისი წყალქვეშა ნავებისა, დიდძალი სატრანსპორტო გემები, ნაღმოსნები და სხვა ხომალდები. მოსკოვის თავზე და მის მისადგომებზე მტერმა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში 128 თვითმფრინავი დაჰკარგა და ვერავითარ სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწია.

ჩვენ ადამიანთა უდიდესი რეზერვები გვყავს. სსრ კავშირის მამრობითი სქესის მოსახლეობა ერთიორად და უფრო აღემატება გერმანიის მამრობითი სქესის მოსახლეობას. იმ დროს, როცა გერმანელი ახალგაზრდობა ქანცმეღლეული იყო შიმშილით ამ წლების განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, — სიცოცხლით სავსე, გამოწრთობილი, ჯანსაღი, მებრძოლი, რომელმაც იცის, თუ რისთვის ომობს, — ადამიანთა საუცხოო შემადგენლობას წარმოადგენს და გმირულად იბრძვის ჩვენი დიადი მიზნებისათვის.

იზრდებიან სახალხო ლაშქრის ძალები. სახალხო ლაშქარში შედიან პირველი იმპერიალისტური მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის მონაწილენი, შედიან მუშები, მოსამსახურენი, კოლმეურნეები. მეცნიერები სტოვებენ თავიანთ ლაბორატორიებს, კათედრებს და ხელს ჰკიდებენ შაშხანას. მტერი კიდევ იწვნევს ამ დიადი სახალხო ლაშქრის ძალას, რომელიც საბრძოლო მიჯნებზე შეეკრიბება ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყოველი ოლქიდან და რესპუბლიკიდან.

ჩვენი ქვეყნის ყოველ რესპუბლიკასა და ოლქში იზრდება მძლავრი, შეუპოვარი, რკინის ნიაღვარი. ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები და მუშა-ქალები ძალღონის უდიდესი დაძაბვითა და თავდადებით მუშაობენ და შრომის ნაყოფიერების ორმაგ და სამმაგ ნორმებს იძლევიან. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში უხვ მოსავალს იღებენ. ქალიშვილები და მოზარდნი სცვლიან ფრონტზე წასულებს და ტრაქტორისტებად, კომბაინერებად, დაზგის მუშებად ხდებიან. ამხანაგ სტალინის მოწოდება: დავამზადოთ მეტი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ვაზნა, ჭურვი, თვითმფრინავიო — მასების ლოზუნგი, მათი მოქმედების პროგრამა გახდა.

დაუშრეტელია ჩვენი ქვეყნის ძალები და საშუალებანი. ჩვენ არ ვმალავთ და არ ვამცირებთ მთელი რიგი ოლქებისა და ქალაქების დაკარგვის სიმძიმეს, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის სიბრძნის მეოხებით, ამხანაგ სტალინის მიერ დამუშავებული სამი ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების განხორციელების მეოხებით ჩვენმა ქვეყანამ შეჰქმნა ახალი მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათსაშენებლო, ნავთსარეწავი, ქვანახშირის ბაზები, რომლებსაც მტერი ვერ მისწვდება. ადამიანთა ათეული მილიონები გაორკეცებული, გასამკეცებული ენერგიით იმუშავებენ და მუშაობენ ღრმა ზურგში იმისათვის, რათა მთელი ეს მძლავრი რეზერვები გამოიყვანონ მტრის წინააღმდეგ, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ მას.

ჩვენი ძალები იზრდებიან. მტრის ძალები ილევიან.

* * *

ხოლო მტრის ზურგში, მის მიერ სსრ კავშირის ოკუპირებულ რაიონებსა და ოლქებში იზრდება პარტიზანთა მრავალათასოვანი არმია. მათ შორის უკვე ცოტანი როდი არიან საბჭოთა მთავრობის მიერ დაჯილდოებული წარჩინებული ადამიანები, ისეთნი, როგორიც არიან საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ბუმაჟკოვი, პავლოვსკი, როგორიც არიან წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულნი ცარენკოვი, მახანკოვი და მრავალნი სხვანი.

მტრის ზურგში ჩაღდება საყოველთაო-სახალხო პარტიზანული ომი, პარტიზანებს მხარს უჭერს მთელი მოსახლეობა.

პარტიზანები სერიოზულ ზარალს აყენებენ მტერს, აღღვევენ მის კომუნიკაციებს, ხელთ იგდებენ სურსათით და საწვავით დატვირთულ ეშელონებს, აფეთქებენ ბენზინიან ცისტერნებს, საჭურვლიან ეშელონებს, ანადგურებენ და ტყვედ მიჰყავთ შტაბები, სპობენ ფაშისტ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, აფეთქებენ ხიდებს, განუწყვეტელი შეშფოთებისა და საფრთხის ვითარებას უქმნიან გერმანელთა ჯარს. პარტიზანები შეიარაღებული არიან თანამედროვე იარაღით, რომელსაც ხშირად ისინი მტერს ართმევენ. ზოგიერთმა რაზმმა უკვე ათობით ტანკი მოსპო, ასობით ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი ამოსწყვიტა.

პარტიზანები ამდიდრებენ თავიანთ გამოცდილებას, ისინი სულ უფროდაუფრო საშიში ძალა ხდებიან, რომლის მნიშვნელობის დამალვა მტერს უკვე აღარ შეუძლია.

ტყვედ წამოყვანილი ჯარისკაცები და ოფიცრები იძულებული არიან აღიარონ, რომ მათი მდგომარეობა ზურგში დღითი-დღე სულ უფრო ძნელი ხდება. პარტიზანები თავზარსა სცემენ მტრებს და ესენი ვეღარ მალავენ თავიანთ მზარდ შეშფოთებას.

ეფრეიტორი ბირკბაუერი 12 ივლისს თავის საცოლეს პოლდის სწერდა:

„ჩვენ მუდამ მშივრები ვართ, რადგან სურსათს წესიერად ვერ ვიღებთ, იმიტომ რომ გზები ძალიან ცუდია, ხოლო უკან მიმავალი რუსები სპობენ და ცეცხლს უკიდებენ ყველაფერს. ჩვენ ბედნიერად ვთვლით თავს, თუ რამდენიმე თავ კარტოფილს ვიშოვნით და მოსახლეობასაც გამხმარი პურის ქერქს წავართმევთ. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი სიცოცხლე აქ ყველგან საფრთხეშია. პარტიზანები დღისით აშკარად ესვრიან ჩვენს კოლონებს... მე ძალიან მცირე იმედი მაქვს, რომ ამ ჯოჯოხეთიდან, ამ წყეული რუსეთიდან ოდესმე ცოცხალი დაბრუნდები შინ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა დღეში ვართ აქა".

რა უნდა ვუთხრათ ჩვენ ეფრეიტორ ბირკბაუერსა და ყველა გერმანელ ფაშისტს? ჩვენ არ დაგვიპატიჟნიხართ. დაუპატიჟებელ სტუმრებს ჩვენ ისე ვხვდებით, როგორც მათ ეკადრებათ. წაეთრიეთ, სანამ ცოცხალი ხართ, თქვენს პოლდებთან, და თუ არ წაეთრეკით, ს

პარტიული ცხოვრება

ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მოწინავე ადამიანები შედიან

დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა ხალხები კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმნენ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო. ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, რომლებიც საქმით ამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას და თავდადებას ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის საქმისადმი, შედიან პარტიის რიგებში.

სამამულო ომის დღეებში თბილისის სტალინის სახელობის ორთოქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო სატენდერო საამქროს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ი. ბაბაევი.

ამხ. ბაბაევი ომის დაწყებამდე საწარმოო დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებდა. ომის დაწყების დღიდან მან დიდად გაუმჯობესა თავისი მუშაობა. ახლა ის საწარმოო გეგმებს სისტემატურად 400-450 პროცენტით ასრულებს.

მ. ბორზილოვი ორთოქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მოწინავე სტახანოველად ითვლება. ამხ. ბორზილოვი წინათ მხოლოდ სახარატო და საბურღავ დაზგაზე მუშაობდა, მაგრამ ომის პერიოდში ეს მისთვის საკმარისი არ გახდა. ის საუკეთესოდ დაეუფლა საფრეზერო და სარანდავ დაზგებზე მუშაობასაც. ახლა საჭირო დროს ცალკეულად ოთხივე სახის დაზგაზე მუშაობს და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ამხ. მ. ბორზილოვი მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად.

თბილისის სტალინის სახელობის ორთოქლმავალ – ვაგონსარემონტო ქარხანაში ბორზილოვისა და ბაბაევისთანები სხვებიც ბევრნი არიან. სატენდერო საამქროს სტახანოველი ა. თოდრია, საბარგო-სავაგონო საამქროს სტახანოველი ვ. გაბინაშვილი, გ. სამსონოვი და სხვები, რომლებიც ომის დღეებში შევიდნენ პარტიის რიგებში, თავდადებისა და გმირული შრომის მაგალითებს იძლევიან, საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტიულმა ბიურომ უკანასკნელ ორ თვეში თავის რიგებში მიიღო რამდენიმე მოწინავე ამხანაგი. ახლადმიღებული არიან ქარხნის მოწინავე ადამიანები, რომლებიც არ ზოგავენ ენერგიას, რათა სახელმწიფოს მისცენ მაღალი ხარისხის მეტი და მეტი პროდუქცია, გამოზარდონ ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები და ამით კიდევ უფრო გაამაგრონ ფრონტი და ზურგი.

მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატად ახლად მიღებულმა ამწყობი საამქროს ზეინკალმა სტახანოველმა ვ. სვაწმა, რომელმაც თავისი შრომის ნაყოფიერება 340 პროცენტამდე გაადიდა, უკანასკნელ ორ თვეში მოამზადა ორი ზეინკალი, რომლებიც უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატი ქალი ა. ვართანოვა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის ავტორიტეტით სარგებლობს, საწარმოო დავალებას სისტემატურად 160 - 180 პროცენტით ასრულებს. იგი მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში ახლად მიღებულნი მოპოვებული მიღწევებით არ კმაყოფილდებიან. ისინი პირობას იძლევიან კიდევ უფრო გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ამით გაამაგრონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძალიერება, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ ფაშისტ ბარბაროსთა სრულ განადგურებამდე.

ვ. ფირანიშვილი

საბგიჯაცია პუნქტი სამამულო ომის დღეებში

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის საბგიტაციო პუნქტში მოწყობილია პოლიტიკური აგიტაციის, სამხედრო და სანიტარული თავდაცვის კაბინეტები. პირველი ორი კაბინეტი უკვე ორი კვირაა მუშაობს, ხოლო უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინათ დაიწყო მუშაობა.

პოლიტიკური აგიტაციის კაბინეტში სისტემატურად იმართება საუბრები და კონსულტაციები სამამულო ომის საკითხებზე. საუბრებს ესწრებიან აგიტპუნქტებისა და აგიტაპუნქტების ხელმძღვანელები, აგრეთვე აგიტატორები. საუბარს წითელ არმიაში სამხედრო კომისრების როლის შესახებ, რომელიც ამსწრნთ ბატალიონის უფროსმა კომისარმა ამხ. ბარანოვმა ჩაატარა, 50 აგიტატორი დაესწრო. ხშირად იმართება საუბრები საწარმო-დაწესებულებებში მომუშავე ქალებისა და დიასახლისებისათვის. ერთერთ ასეთ საუბარს („საბჭოთა ქვეყნის სამამულო ომი და ქალის როლი“) ასზე მეტი დიასახლისი დაესწრო.

სამხედრო კაბინეტში საუბრები და კონსულტაციები ტარდება საკითხებზე: „როგორ ჩავაქროთ ცეცხლგამჩენი ყუმბარა“, „მტრის თვითმფრინავის გამოსაცნობი ნიშნები“, „როგორ უნდა იყოს მოწყობილი გაზსაფრები და ყუმბარსაფრები“ და სხვ.

უაღრესად საინტერესო მუშაობას ეწევა აგიტპუნქტის სანიტარული კაბინეტი. აქ საუბრები და კონსულტაციები იმართება როგორც აგიტატორებისათვის, ისე ცალკეული ობიექტების თვითდაცვის ჯგუფების სანიტარული რგოლების წევრებისათვის. რაიონის გამოცდილი ექიმები ატარებენ საუბრებს საბრძოლო პირობებში საექიმო დახმარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (პირველი დახმარება მოტეხილობისა და სისხლის დენის წინააღმდეგ, მეგალამბრეთა მუშაობა ველზე, პირველი დახმარება ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შემთხვევაში და სხვ.). საუბრებისა და კონსულტაციებისათვის იყენებენ თვალსაჩინო საშუალებებს (ალოსკოპი, კინოლენტები და სხვ.), ფოტოსურათებითა და კინოლენტების საშუალებით უჩვენებენ მებრძოლის მდგომარეობას საექიმო დახმარების აღმოჩენამდე, სანიტარული პუნქტის მოწყობილობას, დონორების მიერ სისხლის გაღებას წითელი მეომრებისათვის.

ორთქლმავლის მემანქანეთა ახალი კადრები

თბილისის საორთქლმავლო დეპოში ომიანობის შესაფერისი ტემპებით ამზადებენ ორთქლმავლის მემანქანეთა და მემანქანის თანაშემწეთა ახალ კადრებს. ორთქლმავლის მართვას შესანიშნავად დაეუფლნენ და ამ დღეებში დაწინაურებულ იქნენ მემანქანეებად ამხ. ს. ირემაშვილი, ნ. გიუნაშვილი, ს. პოპოვი, გ. კუკუჭაძე, აკ. ლომსაძე, შ. ნავროზაშვილი, ვ. ბუხნიკაშვილი და სხვ.

ამჟამად წარმოებისაგან მოუწყვეტლად მემანქანეობას სწავლობს 12 კაცი, ხოლო მემანქანის თანაშემწედ ემზადება 20 ზეინკალი. ორთქლმავლის მართვას განსაკუთრებული გატაცებით და მონდომებით სწავლობენ ამხ. ნ. იმედაშვილი, გ. პატარქალაშვილი, დ. შავლაძე, გ. ქვრივიშვილი, კ. ტერ-დავიდოვი, ა. ჯოჯუა, ნ. პაპაშვილი და სხვ. მალე ისინი კვალიფიციური მემანქანეები იქნებიან.

მეშახტე ქალები

ტყიბული (საქდესი). განუწყვეტლივ მოდის მაღაროებიდან ტყვარჩელის ქვანახშირი. სანგრევში, ლავაში თუ გამოზიდვაზე მამაკაცებთან ერთად ქალებიც მუშაობენ და მტერზე გამარჯვებას სჯედენ. გუშინდელი დიასახლისები—ზინაიდა მუეიცკაია და თამარ ზინევიჩი მაღაროს გამთხრელები გახდნენ. ისინი ჩინებულად დაეუფლნენ მაღაროელის რთულ პროფესიას და ნორმებს თვალსაჩინო გადაჭარბებით ასრულებენ. მიწისქვეშა კომუტატორის ტელეფონისტი თამარ არახამია პირველი ამშენდნი ქალია. მან ფრონტზე წასული ამხანაგი შესცვალა. მისი ინიციატივით შეიქმნა ამშენდ ქალთა ბრიგადა. ახალგაზრდა მეშახტეებმა ეფროსინე გრიწმა და ოლგა ტრინმა ნორმანახევარი პირველსავე ცვლაში გააკეთეს.

ყველანი ერთსულოვნად — კომკავშირულ კვირაობაზე!

დეკოელები კვირაობაზე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებულ შრომითს თავდადებას და გმირობას იჩენს. სტახანოველები ამხ. შ. ხიზანაშვილი, ვ. მიხანაშვილი, ალ. მკერვალიშვილი, ვ. პატარქალაშვილი, გ. მიხანაშვილი და მრავალი სხვა შრომითი სიმამაცის სასწაულებს ახდენენ. ისინი 400-500 პროცენტით ასრულებენ საწარმოო დავალებას, სტახანოვური შრომით განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძალიერებას, ეხმარებიან ფრონტს, ჩვენს დევგმირ წითელ მებრძოლებს.

დღეს, 7 სექტემბერს, დეპოს 350 მოწინავე ადამიანი მონაწილეობას იღებს კომკავშირულ კვირაობაში. მთელი გამომუშავებული თანხა თავდაცვის ფონდში გადაირიცხება.

კომკავშირულმა მესამე საკომპლექსო ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ზეინკალი ამხ. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება აიღო სამი ორთქლმავალი შეაკეთოს. ამაზე იმუშავებენ ზეინკლები ამხ. გ. ბერიაშვილი, ალ. კიკნაძე, ვ. ქემოკლიძე და სხვ. ამწევი საამქროს ახალგაზრდები საშუალო რემონტს სანახევროდ გაუკეთებენ ერთ ორთქლმავალს. გამრეცხავი საამქროს კოლმორი ამხ. კიკნაიე ხუთი კაცით ხუთ საათში შეაკეთებს ორთქლმავალს, რასაც ტექნოლოგიური პროცესით 8 საათის განმავლობაში 15 კაცი ესაჭიროება. ამხ. კიკნაძემ შეჯიბრებაში გამოიწვია გამჩარხავი საამქროს კომორი ამხ. ფანცულაია, რომელმაც მიიღო გამოწვევა და იკისრა 400 პროცენტით შეასრულოს დავალება. კომკავშირული ზეინკალი ამხ. ე. ვეიკუმი ხარატს ამხ. ტომილინს ეჯიბრება. მათი პირობა ასეთია: დავალება 300 პროცენტით შეასრულონ.

ახალგაზრდები დასაუფთავებენ აგრეთვე დეპოს ტერიტორიას, შეაგროვებენ ფერად და შავ ლითონებს. საღამოთი განზრახული გვაქვს მოვაწყოთ კონცერტი-გართობა, კვირაობის მონაწილეთა მასობრივი დასვენება.

დეპოს კოლექტივი დღეს კვირაობაზეა! იგი სტახანოვური შრომით ეხმარება გმირულ წითელ არმიას. ჩვენი კოლექტივი ყოველთვის მზად არის იბრძოლოს ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებისათვის.

შ. ჩინჩალაძე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირული კომიტეტის მდივანი

მთელი კოლექტივი ერთსულოვნად გამოვა სამუშაოდ

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირელებმა ფაბრიკის დირექციისა და პარტორგანიზაციის წიგნაში დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის მე-27 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ფაბრიკაში მოეწყოს კვირაობა და ამ დღის მთელი ხელფასი გადარიცხულ იქნას თავდაცვის სახალხო ფონდში. კომკავშირელთა ინიციატივას მხარი დაუჭირა ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა, რომელმაც გადასწყვიტა კვირაობაში ერთსულოვნად მონაწილეობის მიღება.

— გასულ წელს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს,—განაცხადა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ჩიტაძემ,— ჩვენი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაცია დარაზმული გამოვიდა ზეიმზე. დღეს კი იგი ერთსულოვნად გამოვა სამუშაოდ, დაზგებთან, მანქანებთან. სხვანაირად არც შეიძლება; საზიზღარი მტრის განადგურებისათვის, ჩვენი გაძარჯვებისათვის ბრძოლა მოითხოვს დაძაბულ მუშაობას. ეს კარგად ესმით ჩვენი ფაბრიკის კომკავშირელებს, ამიტომაც გადასწყვიტეს მათ მოაწყონ კვირაობა და ამ დღეს გამომუშავებული მთელი თანხა თავდაცვის ფონდში შეიტანონ.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მეორედ ეწყობა კვირაობა აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პირველი კვირაობა 17 აგვისტოს მოაწყეს, მაშინ 13 ათასი მანეთი გამომუშავეს და მთელი თანხა თავდაცვის სახალხო ფონდში გადარიცხეს. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომკავშირელებმა. ახლა კი, როცა მათივე ინიციატივით კვირაობა მეორედ ეწყობა, ისინი ნამდვილი შრომითი გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ. ფაბრიკის მთელი კოლექტივი წინასწარ კარგად მოემზადა კვირაობისათვის. ფიქრობენ ამჯერად არა 13 ათასი მანეთი, არამედ გაცილებით მეტი გამოიმუშაონ და გადარიცხონ თავდაცვის ფონდში.

ავტოსარემონტო ქარხნის რაციონალიზატორები

შრომის ფრონტის ბევრი თავდადებული მებრძოლი ჰყავს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას. ისინი გმირული შრომით სჯედენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას. შრომის ფრონტის მებრძოლები, საბჭოთა პატრიოტები თავიანთი რაციონალიზატორული წინადადებებითა და გამოგონებებით აჩქარებენ ფაშიზმის განადგურებას.

ავტომანქანის კბილათვალი მეტად დეფიციტური ნაწილია. მასზე დიდი მოთხოვნილებაა ქარხანაში. აქამდე ნახმარ კბილათვალს როდი იყენებდნენ, მას უტილში გზავნიდნენ. ნახმარი კბილათვალის გამოყენების საკითხზე კარგახანს ფიქრობდა ქარხნის ტექნოლოგი ამხ. ნ. სოლონოვაშვილი. ბოლოს მან მიაღწია საკითხის სწორ გადაწყვეტას. ამხ. სოლონოვაშვილმა დაამუშავა ნახმარი კბილათვალის რემონტის ტექნოლოგიური პროცესი. ახლა ქარხანაში ფართოდ იყენებენ ამხ. სოლონოვაშვილის წინადადებას. მისი განხორციელება წლიურად 29.762 მანეთის ეკონომიას იძლევა. კარგი წინადადება შემოიტანეს ამწყობი საამქროს ოსტატებმა ამხ. ცაბაევმა და ვაგრადოვმა. ეს წინადადება მანქანის ყველა ზომის ჭლიპურის შტამპით დამზადებას შეეხებოდა, იგი ივლისიდან განახორციელეს. ეს იდიდებს შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და 10.240 მანეთ დანაზოგს იძლევა.

საგრანობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება ავრეთვე ინჟინერთა ჯგუფის—ამხ. ჯინჭარაძის, ნეფარიძის და ხუბულურის წინადადებამ, რომელიც წარმოებას 6.344 მანეთის ეკონომიას აძლევს.

წინათ მანქანის ქვესაძირკველს პრიმიტიული წესით აკეთებდნენ; ზეინკალ ამხ. ანდრეევის წინადადებით დამზადდა შტამპი, რომლითაც ახლა ამ საქმეს ასრულებენ. იგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

აქ კიდევ არიან რაციონალიზატორები, ნოვატორები. ასეთები არიან: ოსტატები ამხ. ვედენეევი და ბზარაშვილი, ზეინკალი ამხ. ჯელიძე, ხარატი ამხ. აბრამოვი. ამჟამად დამუშავების პროცესშია აგრეთვე ამხ. ჭინჭარაძის, მამუჩაშვილის, იუდინის და სხვ. რაციონალიზატორული წინადადებანი.

ავტოსარემონტო ქარხნის მთელი კოლექტივი, მისი რაციონალიზატორები, წარმოების ნოვატორები ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი—იმუშაონ გაათეცეცული ენერგიით, ყველაფერი გააკეთონ ფრონტისათვის. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავანადგუროთ სამგზის ვერაგი და წყეული მტერი—ვერმანიის ფაშიზმი—აი მათი მტკიცე, ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

პ. ჭიოკაძე.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ

საქართველოს მშრომელნი აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ („კომუნისტის“ კორ.). აფხაზეთის მშრომელნი დღითიდღე აძლიერებენ თავდაცვის ფონდს. ძვირფას ნივთებთან, ობლიგაციებთან, ფულთან ერთად კოლმეურნეობებს ფონდში შეაქვთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამ დღეებში სოხუმის რაიონის სოფ. ვლადიმიროვკის ორმა კოლმეურნეობამ „უუსილმამ“ და „კიმმა“ შეიტანეს 5 ტონა კარტოფილი.

* * *

ᲤᲧᲐᲚᲢᲣᲑᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს სულ 443.730 მანეთი. აქედან ნაღდ ფულად—12.339 მან., ბანკნოტებად ნაღდ ფულად—41.431 მან. და ობლიგაციებით—389.960 მან. გარდა ამისა შემოტანილია 9 კილოგრამი ვერცხლი.

* * *

თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურის კოლმეურნეობის წევრებს თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ორი-ხუთი შრომადღის ღირებულება შეაქვთ. მათ 5 აგვისტოს ნახევარი საათის განმავლობაში თავდაცვის ფონდში შეიტანეს 13.000 მანეთის ობლიგაციები, 500 გრამი ვერცხლი და ნაღდი ფული.

* * *

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ („კომუნისტის“ კორ.) ზუგდიდის აკ. წერეთლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის კოლექტივმა თავდაცვის ფონდში ფულად შეიტანა 2-3 დღის ხელფასი და გადასწყვიტა ომის დამთავრებამდე თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად გადარიცხოს ორი დღის ხელფასი.

ინსტიტუტის კოლექტივმა შეიტანა აგრეთვე 20.000 მანეთის ობლიგაციები. დიასახლისმა ოლია ეგუტიამ თავდაცვის ფონდს გადასცა ოქროს ბეჭედი, მეოთხე სრული საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე გ. ზაქარიამ—20 გრამი ვერცხლი.

რაიონის კოლმეურნეებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ცაიშის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 700 კილოგრამი ხორცი და 50 კილოგრამი ყველი, 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — 500 კილოგრამი ხორცი და 200 კილოგრამი ყველი.

ᲒᲝᲠᲘ („კომუნისტის“ კორ.). რაიონში წარმატებით გრძელდება თავდაცვის ფონდში ფულის, ნივთებისა და პროდუქტების შეტანა.

სახბანკის გორის განყოფილებაში შეტანილი იყო ნაღდად და გადარიცხვით 55.000 მანეთი, 100 გრამი ოქრო და 1 კილოგრამი ვერცხლი. დამზადების კანტორის მომუშავეებმა ნაღდად შეიტანეს 2.515 მან., სახბანკისამ—1.103 მანეთი, ტარაბაზნისამ—1.030 მანეთი.

სოფ. ზეღდულეთის, ახალსოფლის, სობისის და შავშვების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა ჩაბარეს 245 ფუთი მარცვლეული, ბნავისის კოლმეურნეობამ 25 კილოგრამი ყველი და 30 ფუთი ყურძენი; 45 კილოგრამი ყველი შეიტანეს სოფ. დრეს, სიქალეთისა და დიდი წრეთის კოლმეურნეობებმა.

* * *

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ („კომუნისტის“ კორ.). ქუთაისის მშრომელებს თავდაცვის სახალხო ფონდში 1 სექტემბრისათვის შეტანილი ჰქონდათ ნაღდი ფული 141.961 მანეთი, გადარიცხვით 191.475 მან., 1.189.955 მანეთის ობლიგაციები, 108 გრამი ოქრო და 676 გრამი ვერცხლი.

ქალაქში ორჯერ ჩატარდა ფეხბურთის მატჩი, რის შემოსავალიც მთლიანად ჩაირიცხა თავდაცვის ფონდში. მოგროვილია აგრეთვე 243 ტონა შავი და ფერადი ლითონი. ამ საქმეში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს პიონერ-მოსწავლეებმა.

* * *

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ („კომუნისტის“ კორ.). 1 სექტემბრისათვის ლანჩხუთის რაიონის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 143.635 მანეთი ფულად და 674.240 მანეთის ობლიგაციები.

მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 30.390 მანეთის ობლიგაციები, აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — 4.449 მანეთი ნაღდი ფული; მათვე შეიტანეს 150 კილოგრამი ხილის ჩირი.

ლანჩხუთელი კოლმეურნე ქალები გამოეხმაურნენ ახალქალაქის მშრომელთა ინიციატივას. ბევრი მათგანი შეუდგა წითელარმიელებისათვის თბილი ტანსაცმელის დამზადებას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ

3 სექტემბერს სოფ. გლდანში (თბილისის რაიონი) ჩატარდა მიტინგი, მიძღვნილი ახალციხის რაიონის ქალთა მოწოდებისადმი. სიტყვა აიღო თბილისის რაიახბჭოს დეპუტატმა ამხ. ვარო ფირცხელავრამა.—ვუმზადებ საჩუქრად წითელარმიელებს 3 წყვილ თბილ წინდას, 3 წყვილ საზამთრო ხელთათმანს და 20 კოლოფ პაპიროსს,—განაცხადა მან. სიტყვებით ვამოვიდნენ სტახანოველი კოლმეურნეები ელენე და ფეფო ფეიქრიშვილები, ე. გოგიძე, ს. მგალობლიშვილი. მათ ვალდებულება აიღეს საჩუქრად დაუმზადონ წითელარმიელებს ორ-ორი წყვილი წინდა, თითო წყვილი თბილი ხელთათმანი. მასწავლებელი ელენე მგალობლიშვილი წითელარმიელებს საჩუქრად უმზადებს ერთ წყვილ წინდას, ერთ წყვილ ხელთათმანს და 20 კოლოფ პაპიროსს.

გლდანელმა კოლმეურნე ქალებმა მოწოდებით მიმართეს თბილისის რაიონის ყველა კოლმეურნე ქალს. მოწოდების პასუხად გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრები ყოველდღიურად უგზავნიან წითელარმიელებს ყურძენს, ატამს, ლეღვს და სხვა ხილეულს.

შ. გოგიძე

ᲓᲐᲠᲘᲐ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ქართველ მწერალ ქალთა რიგებს გამოაკლდა მხცოვანი მწერალი დარია ახვლედიანი. იგი ეკუთვნოდა მწერალ ქალთა იმ პლეადას, რომელმაც თვითმპყრობელობის დუხჭირ პირობებში შესძლო გაეკაფა გზა მწერლობაში და თასდაუდებელი ამაგი გაეწია მშობლიური ხალხისა და ლიტერატურისათვის.

დარია გიორგისძული ქაჯაია-ახვლედიანისა დაიბადა 1873 წელს. დარია ახვლედიანმა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლით კარგი თვითგანვითარება მიიღო. იგი ადრე დაეკავშირდა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში. ავრცელებდა მუშებში არალეგალურ ლიტერატურას და სხვ. ამავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმდროინდელ კულტურულ წამოწყებებში. ის დახმარებას უწევდა მარიამ ქორნელი გურამიშვილისა, ანა კალანდაძისა, ეკატერინა ფეფელაშვილისა, ანა ბარამიძისა, ანა ბაბალიოზისა, ანა ბაბალიოზ-ფეფელაშვილისა, ანა ბაბალიოზ-ბარამიძისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ფეფელაშვილისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბარამიძისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ფეფელაშვილისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბარამიძისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ფეფელაშვილისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბარამიძისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ფეფელაშვილისა, ანა ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბაბალიოზ-ბარამიძისა, ანა ბაბალიოზ-

თურქული გაზეთები ომის პერსპექტივების შესახებ

სტამბოლი, 5 სექტემბერი (საკადესი). გაზეთ „ტანში“ მოთავსებულია მისი მთავარი რედაქტორის ზექერია სერტელის სტატია, რომელიც მიძღვნილია ორი წლის ომის შედეგებისადმი. ავტორის აზრით, თუ ომის პირველი წელი იღბლიანი იყო გერმანიისათვის, რომელმაც სწრაფად დაიკავა ევროპის მრავალი ქვეყანა, სამაგიეროდ მეორე წელმა ბევრი მარცხი მოუტანა მას. გერმანიამ, — სწერს ავტორი, — ვერ მოიპოვა წარმატება აფრიკაში, მან სრული მარცხი განიცადა, როდესაც სცადა შეჭრილიყო ინგლისის კუნძულებზე და ვერც ხმელთაშუა ზღვის აუზიდან გააძევა ინგლისელები. მაგრამ მთავარი და მისთვის მოულოდნელი ამბავი აღმოჩნდა რუსეთის მიერ გაწეული შედგარი წინააღმდეგობა. ეს აიძულებს გერმანიას ემზადოს იმისათვის, რომ ზამთრის პირობებში აწარმოოს ომი. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანია ომის მესამე წლის დამდეგს უფრო სუსტია, ვიდრე წინათ იყო. ზამთრის დაწყებასთან დაკავშირებით გერმანიის მდგომარეობა უფრო უარესდება. გერმანელთათვის მალე საომარი მოქმედების დამატებითი აქტიური ასპარეზი გახდება აფრიკა.

გაზეთ „ახშამის“ მთავარი რედაქტორი სადაკი აღნიშნავს, რომ წითელი არმია არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას უწევს გერმანელთათვის არავის გაუწევია და, შესაძლოა, სულაც არ მოელოდნენ, რომ ამას წააწყდებოდნენ რუსეთში. წითელი არმია თავის მიერ დატოვებულ ადგილებში ყველაფერს სობს, რასაც კი რაიმე ღირებულება აქვს. ეს თანდათანობით აძნელებს გერმანიის მომარაგების საქმეს ასეთ დიდ ფრონტზე.

გერმანიას, რომელიც მთელ თავის ძალებს ძაბავს უზარმაზარ ფრონტზე და ყველგან წითელი არმიის წინააღმდეგობას აწყდება, მილიონობით საბჭოთა ადამიანი და ინგლისისა და ამერიკის მძლავრი მრეწველობა უპირისპირდება.

ინგლისის ტრედუნიონთა კონგრესის დახურვა

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). გუშინ, რეზოლუციის მიღებისა და გენერალური საბჭოს ხელახალი არჩევის შემდეგ ტრედუნიონთა კონგრესმა დაამთავრა მუშაობა. გენსაბჭოს პირველ საორგანიზაციო სხდომაზე თავმჯდომარედ 1941-42 წლისათვის არჩეულია ხის დამმუშავებელთა კავშირის გენერალური მდივანი უოლსტენკროფტი.

უოლსტენკროფტმა საკადესის კორესპონდენტს გადასცა შემდეგი მიმართვა საბჭოთა პროფკავშირებისადმი: „ამხანაგურ სალამს ვუთვლით საბჭოთა ჯარს. აღტაცებული ვართ მისი დიდებული წინააღმდეგობით ფაშისტური აგრესიისადმი. ინგლის - რუსეთის პროფკავშირული კომიტეტის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კრიტიკულ მომენტში, რადგან ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძალების მობილიზაციას საერთო მიზნის მისაღწევად. ჩემის აზრით, ორივე ქვეყნის პროფორგანიზაციებს შორის დამყარებული კონტაქტი ფაშიზმის განადგურების შემდეგაც უნდა შევინარჩუნოთ, მუშათა კლასის ინტერესები პროფესიული მოძრაობის სოლიდარობას და ერთიანობას მოითხოვენ როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის დროსაც“.

წყალქვეშა ნავის თავდასხმა ამერიკის საესკადრო ნაღმოსანზე

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი (საკადესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ „ამერიკის საესკადრო ნაღმოსანმა „გრირმა“, რომელიც ისლანდიაში მიდიოდა საფოსტო ტვირთით, გამოჰგზავნა ცნობა, რომ 4 სექტემბერს დილით მას თავს დაესხა წყალქვეშა ნავი, რომელმაც რამდენიმე ტორპედო ესროლა. ტორპედო გემს არ მოხვედრია. „გრირმა“ დაუყოვნებლივ ჩაჰყარა სიღრმის ყუმბარები. შედეგი გამოურკვეველია“.

რუზველტის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 5 სექტემბერი (საკადესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები ეძებენ წყალქვეშა ნავს, რომელმაც სცადა ამერიკის საესკადრო ნაღმოსან „გრირის“ ტორპედირება. პრესის წარმომადგენელთა შეკითხვის პასუხად პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკის გემები მოსპობენ წყალქვეშა ნავს, თუ აღმოაჩინეს. შემდეგ რუზველტმა განაცხადა, წყალქვეშა ნავმა დღის განმავლობაში რამდენჯერმე სცადა იერიში მიეტანა საესკადრო ნაღმოსან „გრირზეო“. იერიშები მიტანილ იქნა ატლანტის ოკეანის ამერიკულ ნაწილში. საესკადრო ნაღმოსანი ამერიკის ბაირაღით მიდიოდა და გამასხვავებელი ნომერი ჰქონდა. რუზველტმა აღნიშნა: იმ მომენტში, როცა წყალქვეშა ნავი ცდილობდა საესკადრო ნაღმოსნის ტორპედირებას, კარგი ხილვადობა იყოო. პრეზიდენტმა უარი განაცხადა აღენიშნა, თუ რა ადგილას იმყოფებოდა საესკადრო ნაღმოსანი, როცა მას თავს დაესხნენ. რუზველტმა უარყოფითად უპასუხა კითხვაზე, შეიცვლება თუ არა ამერიკის ფლოტის ოპერაციები ატლანტიკის ჩრდილოეთ ნაწილში ამ ოპერაციების გამოო. შეკითხვაზე გერმანიის მიერ გამოცხადებული ბლოკადის ზონის ფარგალში ხომ არ მომხდარა თავდასხმაო, რუზველტმა განაცხადა: ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არასოდეს არ უცნობებიათ ოფიციალურად ასეთი ბლოკადის დაწესების შესახებ და ამერიკის შეერთებულ შტატებს არც როდისმე უცნია ეს ბლოკადაო.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 5 სექტემბერს გერმანიის ავიაციას ერთობ უმნიშვნელო აქტივობა გამოუჩენია ინგლისში. აღმოსავლეთის სანაპიროს რამდენიმე მახლობელ პუნქტში ჩამოგდებულ ყუმბარებს მოსახლეობაში სერიოზული მსხვერპლი არ გამოუწვევია და არც რაიმე არსებითი ზარალი მიუყენებია.

4 სექტემბერს დღისით ინგლისის ავიაციამ განაახლა ჩრდილოეთ საფრანგეთის რაიონების ბომბარდირება. „ბლენჰაიმის“ ტიპის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ მაზენგარბისა და ბეტიუნის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ქარხანას და შერბურგის დოკებს. ორივე პუნქტში ყუმბარები მიზანს მოხვდა.

გარდა ამისა, ყუმბარმშენებმა „მფრინავმა ციხეებმა“ ყუმბარა დააყარეს როტერდამის დოკებს. ინგლისის ავიაგამანადგურებლები დღის განმავლობაში ბევრჯერ შეეტაკნენ ჰაერში მოწინააღმდეგეს და მტრის 9 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს. გერმანიის 2 ავიაგამანადგურებელი ინგლისის საპატრულო თვითმფრინავმა ჩამოაგდო. სულ დღის განმავლობაში ჩამოგდებულია მტრის 11 ავიაგამანადგურებელი. ინგლისმა ამ ოპერაციებში დაკარგა 7 ავიაგამანადგურებელი და ერთი ყუმბარმშენი.

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი (საკადესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტო იუწყება, ინგლისის ავიაციამ განსაკუთრებული გაფთრებით დაუშინა ყუმბარა ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ რუბეს.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო ორი წლის განმავლობაში

ლონდონი, 4 სექტემბერი (საკადესი). ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ოფიციალური ცნობებით, ფაშისტურმა სახელმწიფოებმა ორი წლის ომის განმავლობაში დაკარგეს 8.020 თვითმფრინავი, გარდა იმ დანაკლისისა, რაც მათ აღმოსავლეთის ფრონტზე აქვთ. ინგლისის ავიაციამ ომის დაწყებიდან 3.089 თვითმფრინავი დაკარგა.

გასული წლის მანძილზე ფაშისტებმა ინგლისში და ბრიტანეთის კუნძულების მახლობლად დაკარგეს 3.038 თვითმფრინავი, ინგლისის ავიაციამ—847 მანქანა. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში მტერმა ინგლისში დაკარგა 568 თვითმფრინავი, ინგლისელებმა—მხოლოდ 39.

ახლო აღმოსავლეთში 1940 წელს ღერძის სახელმწიფოებმა დაკარგეს 421 თვითმფრინავი, ხოლო ინგლისელებმა—78; 1941 წელს მათ დაკარგეს 1.666 მანქანა, ინგლისის ავიაციამ—304.

ამერიკის პრესა ბერლინზე ინგლისის ავიაციის თავდასხმების შესახებ

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბერლინზე ინგლისის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმების ცნობებს ცენტრალური ადგილი უკავიათ ამერიკის გაზეთების პირველ გვერდზე. „ბერლინს თავს დაატყდა ინგლისის ავიაციის გააფთრებული ბომბარდირება“, — სწერს გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ ენდ ამერიკენ“. „ინგლისის ავიაციის თავდასხმის დროს ბერლინი მთელ ღამეს ზანზარებდა“, — აცხადებს გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ“. ბერლინზე თავდასხმის ცნობებში აწერილია, თუ რა ზანზარი და ზრიალი გაჰქონდათ შენობებსა და ფანჯრებს მთელი ღამის განმავლობაში. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ძლიერი საარტილერიო სროლის მიუხედავად, ქალაქში გარკვევით ისმოდა თვითმფრინავთა მოტორების ხმაურობა.

პოლ კოლეჯის დაკითხვა

ბერნი, 5 სექტემბერი (საკადესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, პოლ კოლეტმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ იგი დეგოლელია და გერმანიასთან თანამშრომლობის მოწინააღმდეგეა. „როდესაც ქალაქ კანიდან მოვდიოდი, — სთქვა კოლეტმა, — მტკიცედ გადავწყვიტე მომეკლა გერმანიასთან თანამშრომლობის რომელიმე თვალსაჩინო მომხრე. რადგან ღალატი შემხვდა, მას ვესროლე“.

გერმანიის მოსახლეობა ომიანობის მესამე მშიერი ზამთრის წინ

სტოკჰოლმი, 4 სექტემბერი (საკადესი). უცხოელები, რომელნიც აქ ჩამოდიან გერმანიიდან, გადმოგვცემენ, რომ „გერმანიის მოსახლეობა მეტად გულგატეხილია. გერმანული პრესა ახლა კრინტსაც აღარ ძრავს იმაზე, რომ ომი მაღე დამთავრდება. მოსახლეობას მოუწოდებენ „ხმაამოუღებლივ“ შეეგებოს ომის მესამე წლის ახალ სიძნელეებს. მოსახლეობისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი ზამთარი შიმშილ-სიცივეში უნდა გაატაროს.

გერმანიაში სასურსათო მდგომარეობა მეტად უარესდება. ნახევრად მშიერი ულუფა, რაც მოსახლეობას ბარათით აძლევთ, თვედათვე მცირდება. ბერლინელები ხორცს კვირაში ორჯერ მეტად არც ახლა სჭამენ. ერბო-კარაქი სულ არ ეძლევათ, იგი მარგარინით შეცვალეს. გერმანიის მოსახლეობას აღარც კი ახსოვს, თუ რა გემოსია ნამდვილი ყავა, ყავის სუროგატსაც უმნიშვნელო რაოდენობისას აძლევენ. ცენტრალური გაზეთები დიდი მნიშვნელობას ამბებსავით იუწყებიან, მოსახლეობას თვეში ბარათზე თითო კვერცხი მიეცემოო. გაზეთმა „ფელკიშერ ბეობახტერმა“ ამ დღეებში გამოაცხადა, მოსახლეობას ორი თვისათვის სულზე 250 გრამი ხახვი მიეცემოო. ბაზარში არ იშოვება ბოსტნეული, ხილი. ამის გამო ქალაქებში სურავანდით დაავადება გახშირდა.

ინგლისის ოფიციალური ცნობა

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს ოფიციალური ცნობით, ფაშისტურმა სახელმწიფოებმა ორი წლის ომის განმავლობაში დაკარგეს 8.020 თვითმფრინავი, გარდა იმ დანაკლისისა, რაც მათ აღმოსავლეთის ფრონტზე აქვთ. ინგლისის ავიაციამ ომის დაწყებიდან 3.089 თვითმფრინავი დაკარგა.

გასული წლის მანძილზე ფაშისტებმა ინგლისში და ბრიტანეთის კუნძულების

ქართველი ჩაპაევი—ვასილ კიკვიძე

„კიკვიძე“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში

„კიკვიძე“ ლენინის ორდენის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. სურათზე: **მედოვსკი**—რესპ. სახ. არტისტი **გ. დავითაშვილი,** მინაი დუდნიკოვი— მსახ. **ალ. აფხაიძე,** დივიზიის ექიმი ელიზავეტა—მსახ. **რ. ბერიძე,** მარფა—მსახ. **ნ. ლაფაჩი.**

ფოტო რ. აკოფოვისა

ზუბრილოვის ხუტორთან, 1919 წლის 11 იანვრის დილით მე-16 დივიზია წარმატებით იგერიებდა თეთრგვარდიელი ყაზახების შემოტევას. დივიზიის ლეგენდარული მეთაური, „ქართველი ჩაპაევი“ ვასილ კიკვიძე ყველგან იყო, ყოველთვის გადამწყვეტ უბნებზე და პირადი მაგალითით ამხნევებდა მებრძოლებს. მას უკვე ცამეტი ჭრილობა აქვს მიღებული, მაგრამ ისევ უშიშარი, მამაცი და ბრძოლისუნარიანია. საღამოს თეთრებმა დაიხიეს. კიკვიძელები დაედევნენ მტერს. დივიზიის მეთაურმა პაპიროსს მოუკიდა. ქარი ჭქრის. პაპიროსის პირველი ბოლიც გამოჩნდა და მტრის ტყვეა მკერდში მოხვდა ლეგენდარულ მეთაურს. ეს უკვე მეთოთხმეტე ჭრილობაა. ცამეტს ხომ გმირულად გაუძლო! ახლაც გაუძლებს. მაგრამ... მხოლოდ ერთი სიტყვა ძლივს წარმოსთქვა.

... ქარ-ყინვასა და ქარიშხალში გააცილეს მებრძოლებმა საყვარელი მეთაურის ცხედარი მოსკოვამდე. ნიკოლოზ ბაუმანის საფლავის გვერდით გაითხარა ახალი სამარე. იქ მარხია სამოქალაქო ომის გმირი, 24 წლის ახალგაზრდა ვასილ კიკვიძე, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მთლიანად შესწირა მშრომელი ხალხის საქმეს, თავზარი დასცა გაიდამაკებს, ტამბოვის კონტრრევოლუციონერებს, კრასნოვის თეთრგვარდიულ ბანდებს—მუსრი გაავლო რევოლუციის მტრებს.

ამ თეგზა პატრიოტული სპექტაკლი შეჰქმნა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა, რომელმაც მიმდინარე წლის სეზონი გახსნა ახალგაზრდა დრამატურგის ვ. დარასელის მიმზიდველი პიესით „კიკვიძე“. მაყურებლის წინაშე რეტროსპექტულად ცოცხლდებიან სამოქალაქო ომის გმირები, რომლებიც სამშობლოს დაცვისაკენ მოგვიწოდებენ. მთელი სპექტაკლი გმირულია. საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობებით სუნთქავს სცენა. და ყველაფერი ეს მოცემულია პიესის რეალისტური სახეებით, დამდგმელის დახვეწილი გემოვნებით, რასაც მხატვრული განსხეულება ნაპოვნი აქვს აქტიორთა ნიჭიერ შესრულებაში, ირ. გამრეკელისა და ფ. თავაძის კარგ მხატვრობაში, კომპოზიტორ ი. ტუსკიას მელოდიურ მუსიკაში.

პირველი სურათიდანვე, რომელიც დასაწყისში ოდნავ მკრთალი გვეჩვენება ზოგან ნაკლებ საინტერესო დიალოგების შედეგად, მაყურებლის წინაშე აღიმართა კიკვიძის ახლობელი, საყვარელი სახე. სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, რომელსაც დიდი შრომა გაუწევია სპექტაკლის დადგმაზე, კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებია ვასილ კიკვიძის რთული სახის სცენიურ სრულყოფას. მისი კიკვიძე შეუპოვარი მებრძოლია, მკაცრი და დაუნდობელი, მაგრამ „ვინ შეედრება გულღიობაში“,—ოროკოვ ამას სავსებით სწორად შენიშნავს მისი თავდადებული მეგობარი ტიტიკო. მსახიობმა გ. სალარაძემ ისე ნიჭიერად გახსნა ტიტიკოს სახე, რომ ავტორის განზრახვა მაქსიმალურად დაკმაყოფილა — ხელი შეეწყო მთავარი მომქმედი პირის—ვასილ კიკვიძის შინაგანი ბუნების რელიეფური ცხადყოფისათვის.

კიკვიძე დაუცხრომელია. იგი ანგრევს ავაზაკ ტროცკის აგენტების მუხანათურ გეგმებს. ამიტომ ებრძვის გაიძვერა შილინს, რომელიც მოღალატურ გეგმას — დივიზიის უკანდახევას თავზე აბვევდა მამაც მეთაურს. გადამწყვეტ წუთებში კიკვიძე ყველა ზომას იხმარს, რათა ტელეფონით დაუკავშირდეს ცარიცინში მყოფ სტალინს. მიზანსაც მიაღწია. სტალინი ტელეფონთან არის. კიკვიძის

ვასილ კიკვიძე—სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

• • •

გადასჭრეს. დირექტივა ხომ მაინც მიღებულია. კიკვიძეს მოქმედების ფართო ასპარეზი მიეცა. მან სწრაფად დაიწყო სტალინის დირექტივების შესრულება. მთელი ეს სცენა მსახიობმა აკაკი ვასაძემ დიდი ექსპრესიით, დიდი შთაგონებით ჩაატარა.

კარგად მოქცეულია მსახიობი, რომ მიუმართავს სიტყვისათვის „გენაცვალე“, რათა ამით ხაზი გაესვა და უფრო მკვეთრად გამოესახა ქართველი ჩაპაევის სახე. მაგრამ არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ ამ სიტყვის ხშირმა ხმარებამ შეიძლება ეფექტი შეანელოს.

რა უბრალო და ადამიანურია ეს ლეგენდარული გმირი. რა შესანიშნავი იყო სცენა მოხუცი ყაზახის მინაი დუდნიკოვის სახლში. თავისი უბრალოებით და დიდი სტრატეგიული ნიჭით შესძლო კიკვიძემ დაერწმუნებინა თავისი გუშინდელი მტერი, ოდესღაც მეფისათვის ფიცმიცემული მინაი, რომ ბრძოლა სწარმოებს ხალხის საქმისათვის. მართალმა სიტყვამ, უბრალომ და გულწრფელმა, გააღვიძა მინაის სინიდისი. რა შორს მოიტოვა მან ყაზახის ძველებური გაგება, რომ შვილსაც კი მოჰკლავს, თუ მეფეს შეებრძოლებაო. მისი შვილი ნიკოლაი (მსახ. შ. გიგაური) ხომ კიკვიძესთან ერთად იბრძვის. უნდა მოეკლა იგი. მაგრამ კიკვიძემ აუხსნა თავადები და ისიც თავის შვილთან ერთად ჩადგა რევოლუციის საქმისათვის მებრძოლთა რიგებში. მეორე სურათის ეს სცენა მთელს სპექტაკლში გამოირჩევა თავისი ოსტატობით. ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა ალექსანდრე აფხაიძემ როლის ღრმა შინაგანი გაგებით გადაშალა მინაის სულიერი ტრაგედია. ამიტომ იყო, რომ დუდნიკოვის გარდაქმნის სცენა ასე ბუნებრივი და დამაჯერებელი გამოვიდა. ამას ხელი შეუწყო პიესაშიც კარგად მოცემულმა დიალოგმა მინაისა და პრასკოვიას შორის. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. დავითაშვილი დედა პრასკოვიას როლში ბრწყინვალედ თამაშობდა. მაგრამ დიალოგი ბოლომდე დახვეწილი არ არის. პრასკოვიას მსჯელობას —ოღონდ შვილი იყოს ცოცხალი, — ორაზროვნობის ბურუსი ჰფარავს. დახვეწა ესაჭიროება კიკვიძისა და მინაის დიალოგის ტექსტსაც პირველ სურათში (მსჯელობა პურის შესახებ). კარგი იქნებოდა, რომ მინაი, რომელსაც მდიდარი მასალა აქვს პირველ ორ სურათში, შემდეგაც არ ყოფილიყო მოკლებული მოქმედებას. ბოლო სურათებში ის რაღაც განდგომილია პიესის საერთო ფონიდან. შედოვსკის როლიც, რომელსაც დიდი შთაგონებით ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დავითაშვილი, ტექსტით შეზღუდულია. ბოლშევიკი კომისრის სახე, რასაც მედოვსკი განასახიერებს, პიესაში უფრო ღრმად და მრავალფეროვნად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

კიკვიძის გმირული ეპოპეის ერთერთი ბრწყინვალე ფურცელია თავად ჭაბუკაძის ტანსაცმელით მტრის ბანაკში შეჭრა და მის მიერ ოპერატიული გეგმების ხელში ჩაგდება. ეს სცენა პიესაში შემდეგ იქნა შეტანილი და ამით გაძლიერდა სპექტაკლის ეფექტური მხარე. კაპიტანი ჭაბუკაძე რევოლუციის დაუძინებელი მტერია. კარგად დაგვიხატა იგი რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ჩიხლაძემ. გულზვიად, ბოროტ და გაიძვერა კაპიტანს შიშის ერუანტელი აიტანს, როგორც კი გაიგებს, რომ იგი ტყვედ ჩაუვარდა... კიკვიძეს. ამ არ არის ერთფეროვნება. როცა პოლკოვნიკი დუდაკოვი (მსახ. დ. ოქროცვარიძე) ტყვედ ჩავარდება, მზად არის მოკვდეს, ეურჩება კიკვიძეს, კიდეც დასცინის მას. კიკვიძე არ აძლევს მას პასუხს. დაცინვის სცენა, სამწუხაროდ, გაუგებარია. კარგი იქნებოდა კიკვიძეს ამ დაცინვაზე პასუხი გაეცა.

სპექტაკლში ერთერთი საინტერესო სახეა გრიშუტკა. იგი ბავშვია, მოხალისედ მიდის კიკვიძის დივიზიაში. ეს სახე საინტერესოდ არის მოფიქრებული. ამ როლს ნიჭიერად ასრულებს მსახიობი ალ. კუპრაშვილი. პირველ სურათში კი გრიშუტკა გადაჭარბებული გვეჩვენა. ექსცენტრიული ყმაწვილი ისე წარმოგვიდგა, რომ ჩვენ ეჭვი შევიტანეთ მის ნორმალურობაში. ასე გადაჭარბებული ეფექტები საჭირო არ არის. ეს სახე მაშინ უფრო დახვეწილი და მკვეთრი იქნება.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ მსახიობები: რ. ბერიძე (ელიზავეტა დანილოვნა), გ. კიკნაძე (ბრაგინი), დ. გაგუა (შილინი), ბ. წულაძე (სიტნიკოვი), ნ. ლაფაჩი (მარფა), ლ. ვაჩნაძე (ყაზახი ქალი). ხომენკოს მიმზიდველი სახე შეჰქმნა მსახიობმა დ. ხუციშვილმა.

დიდი ოსტატობით არის დამუშავებული მასობრივი სცენები. ჩვენ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცეკვის სცენა მესამე მოქმედებაში. ქორეოგრაფიულად ეს სცენა ძლიერია. ანსამბლიც კარგად იყო შეწყობილი. სოფლის პეიზაჟები, შორი მთაგორები და ცის ლაჟვარდი თითქოს სცილდებოდა ბუტაფორიას. ზუბრილოვის ველებზე თოვლი და თვით თოვაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება უზადო იყო.

რუსთაველის თეატრმა „კიკვიძით“ შეჰქმნა დიდი პათოსის პატრიოტულ-გმირული სპექტაკლი. ლეგენდარულ ვასილ კიკვიძის განმაცვიფრებელი საქმეები მოგვიწოდებენ ახლა, დიდი სამამულო ომის დღეებში ისე თავდადებით ვიბრძოლოთ ვერაგი და მუხანათი მტრის — გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ, როგორი თავდადებითაც ებრძოდა თეთრგვარდიელებს ქართველი ჩაპაევი. სპექტაკლი ხომ მიზანს ემსახურება. ამ მიზანს მან უდავოდ მიაღწია. „ამაშია „კიკვიძის“ წარმატება. ამიტომ არის, რომ მაყურებელი ხშირად უმართავს მას მხურვალე ოვაციას.

ბ. ჯიბლაძე

ლეგენდარული გმირი ვ. კიკვიძე

კიკვიძის სახელოვანმა ბრძოლებმა, მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ და სამხედრო ნიჭმა იმდენად დამაინტერესა, რომ 5 წლის განმავლობაში ვეარე მისი რაზმისა და დივიზიის ნაკვალევზე—უკრაინიდან დაწყებული ვოლგამდე. კიკვიძე უკრაინაში—ოლომოდაწინა, ბერდიჩევში, პოლტავაში, ხარკოვში და სხვაგან მუსრს ავლებდა გერმანელების საოკუპაციო ჯარებს, მისი სახელის ხსენება შიშის ზარს სცემდა გიდამაკებს და რევოლუციის სხვა ჯურის მტრებს. მისი რაზმი, დივიზიად ჩამოყალიბებული და 1918 წელს ცარიცინის საბრძოლო რაიონებში გადასროლილი, ერთერთ საუკეთესო დივიზიად იყო ცნობილი. ა. ტოლსტოიმ მას თავის ნაწარმოებში „პური“—რევოლუციის საუკეთესო მასალა უწოდა. კიკვიძის გარშემო ოცი წლის წინათ შექმნილი ლეგენდები, სიმღერები დღეს, სამამულო ომის დროს, ისმის როგორც მოწოდების ხმა. კიკვიძის დივიზიის მებრძოლები განაგრძობენ თავისი საყვარელი სარდლის ტრადიციებს. მისი სახელობის დივიზია დღეს ლენინის ქალაქს იცავს, არ დაუთმობს მას არავის და ისევე როგორც კიკვიძე, შეუბრალებლად შემუსრავს გაადფრებულ მტრებს. ამის საწინდარი აქვს მას—კიკვიძის ხელით ნატარები წითელი საბრძოლო დროშა.

ჩემი პიესა „კიკვიძე“ დაწერილია ისტორიული მასალების შესწავლის შედეგად. მე ვნახე მისი სახელობის რაიონი, დივიზია, რაიონული ცენტრი ქ. კიკვიძე. როდესაც კიკვიძე კვდებოდა სცენაზე კამოშინის თეატრის დადგმაში—რამდენიმე პარტიზანმა ფარდა არ ჩამოაშვებინა თეატრს და განაცხადა—არ მოკვდება კიკვიძე, გრძელდება მისი ბმირული სახე ჩვენში, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებშიო.

პიესა „კიკვიძე“, გარდა იმისა, რომ მიღებული იყო ამ სეზონში დასადგმელად მოსკოვის რევოლუციის თეატრში და სხვადასხვა უკრაინულ ქალაქებში, მიღიოდა როსტოვში, სტალინგრადში, კრასნოდარში, კამიშინში, ვეშენსკის ყაზახურ თეატრში, ბლაგოვეშჩენსკში და სხვ., სადაც წარმატება ჰქონდა. ყველგან მოიძებნა დივიზიის ათეული მებრძოლები, რომლებიც თეატრიდან გამოდიოდნენ კიკვიძეზე მოგონებით აღფრთოვანებულნი.

კიკვიძეს დიდად აფასებს დიდი რუსი ხალხი. იგი დასაფლავებულია მოსკოვში ბოლშევიკური პარტიის დიდი მოღვაწის ბაუმანისა და სამოქალაქო ომების ლეგენდარული გმირი პარტიზანის ჟელეზნიაკის გვერდით. ქართველი ხალხი აფასებს თავის გმირს, რომელიც დღეს პირველად გამოჩნდა ქართულ სცენაზე. რუსთაველის თეატრმა გააცოცხლა ეს გმირი საქართველოში.

პიესა დაიდგა თეატრში. შეფასება მაყურებლის საქმეა.

ვ. დარასელი

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡ

თეატრებში: სახოპერა—„ქეთო და კოტე“, **რუსთაველის სახელობის**—„კიკვიძე“.

კინოებში: რუსთაველის სახ.—„ბოგის ჯარისკაცნი“, **ოქტომბერი**—„კუზიანი კვიცი“, **დამკვრელი** (საზაფხულო და ზამთრის)—„საბრძოლო კინოკრებული № 2“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მტკიცე ხასათის ქალიშვილი“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ტანკისტები“, **სპარტაკი**—„საბრძოლო კინოკრებული № 2“, **ლუნასემბურგის სახ.** — „მეკარე“. **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„საბრძოლო კინოკრებული № 1“, **26 კომ. სახ.** (საზაფხულო)—„ვოლგა-ვოლგა“, **განთიადი**—„კენდლილიარ“, **კომინტერნი** — „შინაყმის ფრთები“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„დიდი მოქალაქე (მეორე სერია), **მეცნიერება და ცოდნა**—„საბჭოთა სამშობლოსათვის“, **ხაზკვების კავშირის კლუბი**—„არსენა“, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — „იუდენიჩის განადგურება“.

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

8 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში და ვოროშილოვის სახელობის კლუბის სალაროში.

ᲞᲐᲠᲬᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2840785, გაცემული ნიკოლოზ ესტატეს-ძე **ლომსაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
Თ. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ლ. პ. ბერიას სახელობის ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ
სტუდენტთა მიღება გრძელდება
Ა. Წ. 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ
თბილისი, სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩა, № 1.
365

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული დაპროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო, — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამოცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 28.

УЭ 33923

გერმანიის ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ მეთაურები შეშფოთებული არიან ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობით

პრესის ცნობით, ის გარემოება, რომ ოკუპირებულ ქვეყნებში დიდალი დივერსიული აქტი ხდება, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს გერმანიის ოფიციალურ წრეებში. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენციე“ კი იძულებულია აღიაროს, რომ ამ ქვეყნებში „გაჭირვება, სასოწარკვეთილება და უკმაყოფილება არეულობას და შეშფოთებას წარმოშობს“ და რომ საოკუპაციო ხელისუფალნი რეპრესიული ზომების პასუხად ახალ ანტიგერმანულ დივერსიებს აწყობენ. გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ აზრით, სერბიაში, ხორვატიაში, საფრანგეთში და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში შემოღებული რეჟიმი „საფრთხეშია და საფრთხეში იქნება, თუ ვერ შესძლებენ მოსპონ არალეგალური მუშაობა, რომელსაც ძლიერი სტიმული მიეცა გერმანიარუსეთის ომის დაწყების შემდეგ“.

ფაქტები სავსებით ცხადად მოწმობს ამას. ბელგრადში ტერა